პროლეტარეთნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
სამშაბათი
7
სექტემბერი
№ 210
(16640)
ფასი
2 კაპ
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მილიონობით ფუთი პური — საშუალოზლოს

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე!

დიდი კმაყოფილებით მოგახსენებთ, რომ შევასრულეთ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები. სამშობლოს ბეღლებში შევინახეთ მილიონ 800 ათასი ტონა, ანუ 110 მილიონ ფუთზე მეტი პურეული. სულ, ბურღულეულის ჩათვლით, სახელმწიფოს მივყიდით მილიონ 880 ათას ტონას. ამდენ პურეულს ოლქი სახელმწიფოს პირველად მიჰყიდის.

დიდ მადლობას გიძღვნით, ლეონიდ ილიას-ძეს ამ გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც ალმა-ათაში პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე ბრძანეთ ვორონეჟელ მიწათმოქმედთა შესახებ. ჩვენი საოლქო პარტიული ორგანიზაცია ყოველ ღონეს იხმარს, რათა გაამართლოს თქვენი დიდი ნდობა, შეასრულოს შაქრის ჭარხლისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების გადიდებული ვალდებულებები.

გისურვებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე, წარმატებებს თქვენს უძნელეს მუშაობაში, ჯანმრთელობასა და დიდ ბედნიერებას.

სკკპ ვორონეჟის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. იგნატოვი.

მილიონთა შთაგონებული შრომა

ნახევარი წელი გავიდა, რაც მუშაობა დაამთავრა სკკპ XXV ყრილობამ, რომელმაც კომუნისტური შენებლობის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი დასახა. საბჭოთა ადამიანების შეუპოვარი, დაძაბული შრომის ეს თვეები აღსავსეა დიდი საქმეებითა და მოვლენებით, რომლებმაც ნახალი ძალით დადასტურა ლენინური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორე და რეალიზმი.

პარტიისა და ხალხის მთელ საქმიანობაში ახლა მთავარია ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება, სსრ კავშირის ხახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების განხორციელება. სწორედ ამ მთავარ საქმეს მიაპყრობს კომუნისტებია, ყველა მშრომელის მთელ ყურადღებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა უაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე. ოპტიმიზმით, ქვეყნის წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის მტკიცე რწმენით გამსჭვალულ ამ სიტყვას დიდი აღფოთოვანებით შეხვდა ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელი, ოდი ახალ ხახელოვან გმირობას შთააგონებს მათ.

ჩვენმა ქვეყანამ კარგი რიტმით დაიწყო მეათე ხუთწლედი. სამრეწველო წარმოების ტემპებმ შვიდი თვის მანძილზე დაახლოებით 5 პროცენტი შეადგინა გეგმით გათვალისწინებულ 4,8 პროცენტთან შედარებით. რეალიზებულია 4 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების დამატებითი პროდუქცია. სამშობლო დასახულ გეგმაზე მნიშვნელოვნად მეტ სათბობს, ლითონს, ელექტროენერგიას, ქიმიისა და მანქანათმშენებლობის პროდუქციას იღებს. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება მთლიანად ამ ხნის მანძილზე 3,4 პროცენტით გადიდდა გეგმით გათვალისწინებულ 2,7 პროცენტთან შედარებით, ხოლო კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საგნების გამოშვება 7 პროცენტით გაიზარდა.

ხუთწლეული მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების ერთგვარი გაუმჯობესებითაც დაიწყო. შვიდი თვის მანძილზე შრომის ნაყოფიერება 3,3 პროცენტით გაიზარდა, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შარშანდელთან შედარებით ნახევარად მანეთზე მეტი შეადგინა.

დიდი შრომითი აღმავლობის ნიშნით მიმდინარეობს მეათე ხუთწლედის პირველი წელი ჩვენს ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ცნობილია, თუ რა სიძნელეებს დაძლევა მოუხდა ჩვენს სოფლის მეურნეობას წინა ხუთწლეულში და განსაკუთრებით შარშან ცუდი ამინდის გამო, პარტიამ სერიოზული ღონისძიებები განახორციელა, რომ უზრუნველეყო ქვეყნის განვითარების ნორმალური რიტმი, ხალხის ცხოვრების ნორმალური პირობები და შეექმნა მტკიცე საძირკველი სოფლის მეურნეობაში ახალი მოსავლის მოღწევისათვის. ახლა გაჩაღებულია ბრძოლა ახალი მოსავლის პურისათვის. დადგა მინდვრის სამუშაოების ყველაზე დაძაბული, დამამთავრებელი ეტაპი, როცა საბოლოოდ განსაზღვრება სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები.

პური, სხვა სურსათი, იყო და არის ქვეყნის სიმდიდრის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელი. სკკპ XXV ყრილობამ მარცვლეულის წარმოებას ჩვენი დამკვრელური უბანი უწოდა. სადაც თავი უნდა მოვუყაროთ მთელ ჩვენს ძალებსა და რესურსებს, რომლებსაც უნდა მივაპყროთ პარტიული ორგანიზაციების, მეცნიერებისა და სპეციალისტების, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, დამაზადებლების, მელიორატორების, იმ სამრეწველო საწარმოების კოლექტივების უურადღება, რომლებიც სოფელს ტექნიკას, სასუქებსა და სხვა საშუალებებს აწვდიან. დამკვრელურ უბანზე მუშაობის შედეგებს დიდი პოლიტიკური, საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს.

ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს ღრმად ეხმიან ეს, უნარიანად რაზმავენ სოფლის შრომელებს თავიანთი პატრიოტული მოვალეობის თავდადებული შესრულებისათვის. ქვეყნის ბევრ რაიონში კოკისპირულმა წვიმებმა სართულები შექმნა, მაგრამ უკვე მომკილია ნახევარზე მეტი მარცვლეული. ნაღვწი მოწმობს, რომ ქვეყანას წლეულს პური ეყნება. ამას დამაჯერებლად ადასტურებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გადიდებული ვალდებულებებიც, რომლებიც უუბანლო მხვნელ-მთესველთა მოწოდებით ბევრმა მოკავშირე და ავტონომიურმა რესპუბლიკამ, მხარემ და ოლქმა აიკისრეს. ქვეყნის პურის რესურსების შევსებაში მარტო ამ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების დამატებითი წვლილი ნახევარ მილიარდ ფუთზე მეტს შეადგენს. უაზახეთის მიწათმოქმედებმა ვალდებულება აიკისრეს სულ ცოტა მილიარდ 100 მილიონი ფუთი მარცვლეული შეინახონ სამშობლოს ბეღლებში. მიღწეული შედეგებით ხარიშეესხმულია პარტიის ახლანდელი პოლიტიკა სოფლად, მათში ნათლად ჩანს თვითეული მისი რგოლის — მელიორაციის, ქიმიზაციის, მექანიზაციის, სამეურნეოთაშორისო და აგროსამრეწველო კოოპერირების ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის როლი და უუგება.

როგორც ნოსავლის ბედი, ისე საერთოდ ქვეყნის ეკონომიური განვითარებაც საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია მრავალმილიონიანი მასების შრომითს აქტივობაზე, იმაზე, თუ როგორ მუშაობს ყველა კომუნისტი. მთელი პარტია. ხაზი გაუსვა რა ამას, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ქმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ პარტიამ და ხალხმა მთელი გულითა და სულით დაუჭირეს მხარი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს და აქტიურად დაიწყეს მათი პრაქტიკული განხორციელება, რომ თვითეული პარტიული ორგანიზაცია, თვითეული შრომითი კოლექტივი, თვითეული საბჭოთა ადამიანი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენს საერთო საქმეში. „ერთი სიტყვით, — განაცხადა მან, — სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ რევოლუციური შემოქმედებითი სულისკვეთებით, XXV ყრილობის იდეებით არის გამსჭვალული ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის ყოველდღიური საქმეები. ეს იდეები, რომლებიც გიიგეს და აღიქვეს მილიონიანმა მასებმა, სულ უფრო მეტად ხდება მატერიალური ძალა, მთელი ჩვენი განვითარების მძლავრი დამჩარებელი“.

ხალხის შემოქმედებითი ინიციატივა, რომლის მიზანია პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიური პროგრამის რეალიზაცია, მკაფიოდ გამოიხატება მრავალი პატრიოტული წამოწყებით, ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით, შემხვედრი გეგმების შემუშავებისათვის გაჩაღებული მასობრივი მოძრაობით. მთელი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს საბჭოთა ადამიანების შრომითი აქტივობის შემდგომი ზრდა, რათა სულ უფრო ძლიერდებოდეს ძირეულ ეკონომიურ პრობლემათა გადაჭრაში მათი ცხოველი მონაწილეობა. საკირო კვლავაც ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი, რომლებმაც აქტიური, მიზანდასახული საქმიანობით უნდა გადალახონ ყოველგვარი სიძნელე, მიაღწიონ დასახული გეგმების შესრულებას. ჩვენი პარტიული მოვალეობაა ასე ვიმოქმედოთ დიდ თუ პატარა საქმეში.

გულდაჯერებით მტკიცედ და განუხრელად ადგანან ჩვენი პარტია და ხალხი სკკპ XXV ყრილობის კურსს. ეს სწორი ლენინური კურსი კომუნიზმის შენებლობაში, ქვეყანად მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში ახალი გამარჯვებების მისაღწევად.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი 5 სექტემბერს ალმა-ათიდან მოსკოვს გაუმგზავრა.

აეროპორტში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ა. კუნაევმა, უაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ს. ბ. ნიაზბეკოვმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ა. აშიმოვმა, უაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა, ალმა-ათის, რესპუბლიკის ოლქების პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, საზოგადოებრივობის წარმომადგენლებმა.

მოედნებზე და ქუჩებში შეეკრიბნენ დედაქალაქის მცხოვრებნი, რათა ბედნიერი მგზავრობა ესურვათ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისათვის.

აეროდრომზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიართვეს თაიგულები.

ამხ. დ. ა. კუნაევმა განუცხადა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რომ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე წარმოთქმულ მის სიტყვაში დასახული სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შემდგომი განვითარების ამოცანები რესპუბლიკის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში აღიქვეს როგორც მოქმედების სახელმძღვანელო და ისინი ხორციელდება უაზახეთის მშრომელთა კონკრეტული საქმეებით.

5 სექტემბერს ალმა-ათიდან მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც მონაწილეობდა უაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირში.

აეროდრომზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომაკო, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, კ. თ. კატუშევი, კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები გ. ს. პაველოვი, კ. ვ. რუსაკოვი, ნ. ა. ტიხონოვი, ნ. ა. შეროლოკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ს. კ. ცვიგუნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. ი. ბლატოვი, ვ. ა. გოლიკოვი.

ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად მოსკოვში დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები გ. ვ. ცუკანოვი, ლ. მ. ზამიატინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოჭლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ი. ვ. სედიხი. (საკვლესი).

5 სექტემბერს ალმა-ათიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც უაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირში მონაწილეობდა. სურათზე: აეროდრომზე შეხვედრის დროს.

საკლშსი-საქინფორმის ტელეფოტო.

„სპლუტ-5“ განაგრძობს ფრენას

ფრენის მართვის ცენტრი, 6 სექტემბერი. (საკლესი). ორბიტული სამეცნიერო სადგური „სალუტ-5“, რომელიც 1976 წლის 22 ივნისს დედამიწის ირგვლივ კოსმოსური სივრცეში გაუშვეს, კოსმონავტების ბორის გოლუბოვისა და ვიტალი

დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი

რამდენიმე წელი უმნიშვნელო მონაკვეთია ისტორიისათვის, მაგრამ თუ ერთად წარმოვიდგენთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებულ ღონისძიებებს, შეიძლება თქვას, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი, ახლის ძიებისა და დამკვიდრების, გაბედული შემართების, მშრომელთა კეთილდღეობის უმჯობესობის, რწმენის განმტკიცების, სასარგებლო საქმეებისათვის მასების პოტენციური შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების საუკეთესო წლად უნდა ჩაითვალოს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი შემოქმედებითად ავითარებს დიად რევოლუციურ მოძღვრებას, ამდიდრებს მარქსისტულ-ლენინური აზრის საგანძურს, იგი მოითხოვს მეცნიერულ საფუძვლებზე სრულვყოფდეთ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სტილსა და მეთოდებს. თანამედროვე ეტაპზე პარტიის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მრავალი თვისებრივად ახალი ნიშანი და მოვლენა ახასიათებს. მიმდინარეობს შინაპარტიული მომთხოვნელობის სრულყოფის აქტიური პროცესი. პირველადი პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო წარმატებით მოქმედებენ, როგორც პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ხელმძღვანელი ორგანოები. წარმატებით მართვისათვის, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — გარდა დარწმუნების უნარისა, სჭიროა ორგანიზების უნარი. ეს ნიშნავს ბრძოლის პარტიის მიზანდასახულობათა თანამიმდევრული შესრულებისათვის.

რაიონში უველა ახალ თაოსნობას კომუნისტები უდგანან სათავეში. ოქტომბრის რევოლუციის ერთგული ჯარისკაცებისა და 20-იანი წლების კომუნისტების რიცხვი რაიონის მოსახლეობის ათ პროცენტზე მეტს შეადგენს. დიდი ყურადღება ეთმობა პარტიაში შემსვლელთა თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას, ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდას. რაიონში ყოველწლიურად სკკ რიგებში 80-ზე მეტი ახალგაზრდა შედის, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა კომკავშვილები, საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები არიან.

პარტიის წევრობის კანდიდატთა იდეური აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებს პარტიის რაიკომთან და დიდ პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი „ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლები". ყოველნაირად ვცდილობთ უზრუნველვყოთ წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდა კომუნისტების როლის ამაღლება, რომ ისინი ბევრ სამმართველოში გვაქვს გაწეული მუშაობის გამო დაუმაყოფილებლობის გრძნობა, რადგან ქვლავ ცოტა როდი ნაკლოვანებები: ზოგიერთ შრომითს კოლექტივში ირღვევა სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, კოლმეურნეობათა ერთ ნაწილში დაბალია პროდუქციის წარმოების დონე და მაღალია თვითღირებულება, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველვყავით კოლნეთის მიწების სრულყოფილად ათვისება და მათი ხალხის სამსახურში ჩაყენება.

ამიტომ კადრებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერება, შესრულების კონტროლის გაუმჯობესება მუშაობის ლენინური სტილის ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

ამ დღეებში პარტიის რაიკომის ბიურომ ზემოსურების კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში გამოვლენილი უხეში დარღვევებისათვის წვრთა საერთო კრებას ურჩია კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გადაერჩინა ი. ბარამიძე, მკაცრად დაისჯნენ იქ მომუშავე სხვა სპეციალისტებიც. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მდგომარეობის უსწრაფესი გამოსწორებისათვის.

ხელმძღვანელი მუშაკებისადმი, სპეციალისტებისადმი მკაცრი მომთხოვნელობის ატმოსფეროს შექმნამ მკვეთრად გაუმჯობესა მდგომარეობა. წინათ, როგორც იტყვიან ჩრდილში, პასიური მაყურებლის როლში მყოფი მუშაკები საგრძნობლად ამოქმედდნენ, ამაღლდა მათი პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

მტკიცე საშემსრულებლო დისციპლინაზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვენ ნამდვილად დისციპლინიანს ვუწოდებთ არა იმას, ვინც მარტო თავის უშუალო საქმეში იჩენს ამ თვისებას, არამედ იმას, ვინც დისციპლინას მოითხოვს თანამოსაქმეებისაგანაც. დღეს ამ აზრს უფრო ფართო გაკანება მიეცა, რაკი რაიონის ყველა შრომითს კოლექტივში ბულლეტინი განიხილეს და მხარი დაუჭირეს რუსთაველ მეტალურგთა და აბაშელ კოლმეურნეთა ჩინებულ თოსნობას „არკერი ჩამორჩენილი, უდანაკლოა — ჩვენ გვერდით!"

უკანასკნელ ხანს გამრავალფეროვნდა ის ფორმები და მეთოდები, რომლებსაც ადამიანთა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად ვიყენებთ. ზოგიერთ მაგალითზე უკვე მოგახსენეთ. მაგრამ უკეთესი იქნება, თუ, არა მარტო ამ მხრივ, არამედ პარტიულ-ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარ გამოცდილებას, ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში რომ დაგროვდა, უფრო ფართოდ გავავრცელებთ. ამიტომ „კომუნისტის" ფურცლებზე წამოწყებული საუბარიც პარტიულ მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრების თაობაზე, ვფიქრობ, საამისოდ კარგ სამსახურს გაგვიწევს.

და მაინც, ისევ პასუხისმგებლობაზე: ამ გრძნობას ყოველთვის უნდა იჩენდნენ რესპუბლიკური სამეურნეო ორგანოები, სხვადასხვა უწყება, რომელთა გაუმართავი მუშაობა ზოგჯერ გულს უტეხავს მშრომელ კაცს.

ადგილობრივ მშრომელებს, ჩამოსულ სტუმრებს გულით ახარებთ რაიონული ცენტრისა და სოფლების სასიკეთო ფერისცვლება მათი კეთილმოწყობისა და განაშენიანების მხრივ. და რაოდენ სამწუხაროა, როცა ასეთ ვითარებაში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო წლების განმავლობაში აკიანურებს რაიონის ცენტრში დაწყებულ 14-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. იგი ჯერ კიდევ შარშან უნდა გადაეცათ ექსპლოატაციოდ. საცხოვრებელი ბინების ნაკლებობას კი მწვავედ განიცდიან ჩოხატაურელი მშრომელები.

ყოველად შეუწყნარებლად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ კურორტ ნაბეღლავში დაწყებული პანსიონატის მშენებლობა წლების განმავლობაში გაუმართლებელი სუბიექტური მიზეზების გამო ჭიანურდება. ეს საკითხი მრავალგზის დავაყენეთ, მაგრამ რესპუბლიკის „კურორტმშენის" ხელმძღვანელობისაგან ხაქმიანი და პრაქტიკული დახმარების ნაცვლად მხოლოდ მშენებლობის გეგმის კორექტირებას ვიღებთ.

ჩოხატაურელი მშრომელები მეტ პრაქტიკულ და რეალურ დახმარებას მოელიან საქართველოს სსრ საავტომობილო გზებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებისგანაც.

დიახ, მშრომელთა მოთხოვნილებების სისტემატური გათვალისწინება, მათი სურვილებისა და წინადადებების შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილება მუშაობის ლენინური სტილის უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია.

თ. იმედაძე.

საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი.

პასუხისმგებლობის ალგრდა

შმარიტად გახდნენ პარტიის პოლიტიკური შებრძოლები. პრაქტიკაში დაინერგა „ახალგაზრდა კომუნისტის დღე", ყოველწლიურად სრულყოფილი ხდება პოლიტიკური და შინაპარტიული ინფორმაცია, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გამოცდილების მრავალფეროვნების გაცნობა-გაზიარება. ამჟამად რაიონში 106 პირველადი პარტიული ორგანიზაცია და 13 პარტიული კომიტეტია, სადაც 8 განთავისუფლებული პარტიული კომიტეტის მდივანი მუშაობს. სწორედ მათზე დაურდნობით ახორციელებს პარტიის რაიკომი იმ პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც ყოველდღიურად სულ უფრო რთული და მასშტაბური ხდება.

პარტიული მუშაობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებთან მუშაობაა. იგი ხელოვნებაა, და ის, თუ რა ძალა აქვს პარტიული მუშაობის შემოქმედებით სტილს, ეს ნათლად ჩანს სკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის საერთო აღფრთოვანების, უდიდესი კმაყოფილებისა და ეროვნული სიამაყის უფრტი წყარო გახდა. იგი ქართველი კომუნისტების თავდადებული შრომის, ნაყოფიერი საქმიანობის ღირსეული დაფასება და მათი წარმატებების საქვეყნო აღიარება, საბჭოთა საქართველოსათვის ზრდუნის ახალი დასტურია. მასში განსაზღვრულია რესპუბლიკას ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები და საბრძოლო მოცანები, ნაჩვენებია რწმენით აღსავსე მომავალი, ამიტომ იგი, უპირველეს ყოვლისა, ყოველ ჩვენთაგანს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს, თანაც გვაფრთხილებს, რომ არ გამეფდიდურდეთ და არ გაეყოყოჩდეთ. ეს შესანიშნავად ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე.

წინა წლებში დამკვიდრებული ხელმძღვანელობის მცდარი პრაქტიკა სერიოზულ შეცდომებსა და ჩავარდნებს იწვევდა მუშაობაში, მან დიდი ზიანი მიაყენა ავრეთვე ჩოხატაურის რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა დარგს. ზემდგომმა ორგანოებმა საოანადოდ შეიფასეს რაიონში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობა და მიიღეს სპეციალური გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენი ძირითადი სამოქმედო დოკუმენტი გახდა.

სწორედ ამის შესაბამისად პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ეკონომიკის აღმავლობისა და გაძლოლის პრინციპები, ეს არის პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის ერთიანობა, კადრების სწორად შერჩევა და აღზრდა, კომუნისტების შემოქმედებითი აქტივობის ზრდა, პირადი პასუხისმგებლობა და თვითკონტროლი, სახალხო მეურნეობის მართვის საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, სამეურნეო ორგანოების საქმიანობისადმი ქმედითი პარტიული ხელმძღვანელობა და კონტროლი, შესრულების შემოწმების სწორი ორგანიზაცია.

გადაწყვეტილების მიღებიდან განვლილ პერიოდში მოპოვებულია გარკვეული წარმატებები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. რაიონი ზედიზედ ორჯერ—1974 და 1975 წლებში—დაჯილდოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების გარდამავალი წითელი დროშებით და დიპლომებით. ანალოგიური ჯილდოები დაიმსახურეს ხიდისთავისა და ჩაისუბნის კოლმეურნეობებმა. 1975 წელს ჩოხატაურის რაიონი დაჯილდოდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომითა და მედლით. ამჟამად ჩვენთან არ არის არცერთი სამრეწველო საწარმო, ორგანიზაცია, რომელიც მეათე — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებებს გადაჭარბებით არ ასრულებდეს. გადახალისდა პარტიის რაიონული კომიტეტის, რაისაბჭოს აღმასკომის, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შემადგენლობა. 1973-1976 წლებში შეიცვალა რაიკომის 300-ზე მეტი ნომენკლატურული მუშაკი, რომლებიც ვერ ამართლებდნენ ნდობას.

მეურნეობის სწორი განვითარების დინამიზმი, განსაკრეტელი სამუშაოთა მზარდი მასშტაბი თანამედროვე ეტაპზე აყენებს წარმოების სტრუქტურისა და ხასიათის ძირეულ ცვლილებებს, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესის ინტენსიურ წარმართვას, ინდუსტრიული ტიპის მსგავლ დიდსახაკონლო საწარმოთა შექმნას. სწორედ ამას ისახავს დღეს მიზნად ჩვენი რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა. წინათ რაიონში არსებული 32 კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა 16 კოლმეურნეობა და სამი სახელმწიფო მეურნეობა. ყველა ისინი რენტაბელური და მომგებიანია. ადგილზე არსებული საშუალებების გამოყენებით, ზედმეტი კაპიტალური ხარჯების გაუწეველად შეექმნით 700 სულისათვის გათვალისწინებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკოლმეურნეოთათვის შორისო სუქების კომპლექსი, მალე გაიხსნება 1000 სულისათვის გათვალისწინებული მეღორეობის გასასუქებელი პუნქტი.

ჩვენი სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. მაგრამ მთავარ კულტურად მაინც ჩაი ითვლება. წელს ჩოხატაურელ მეჩაიეთა გადაწყვეტილებაა მოიწიონ სარეკორდო მოსავალი — 10.000 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 9.450 ტონისა, დღეისათვის მოკრეფილია 9.800 ტონა ნედლეული, აქედან 71,5 პროცენტი პირველი ხარისხისა.

დიდი გადაჭარბებით შესრულდა ამრეზუმის პარკის კურკოვანი ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და ხასელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვის გეგმა-ვალდებულებები. იმედი გვაქვს, პირნათლად გავანაღდოთ ყურძნისა და თესლოვანი ხილის დამზადების გეგმა-ვალდებულებებიც.

როცა მუშაობის სტილზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ადგილებზე ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობასთან ერთად სპეციალისტების პერსონალური პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის გაძლიერება. პრაქტიკაში დავნერგეთ „აგრონომის დღე", „ბრიგადირის დღე", „მეცხოველის დღე" და სხვ.

კადრების სწორად შერჩევამ და ადგილებზე ხელმძღვანელი რგოლების გადახალისებამ საშუალება მოგვცა გამოგვესწორებინა წინა წლებში უხეირო მუშაობით გამოწვეული სერიოზული ჩამორჩენა და მეურნეობები მოწინავე პოზიციებზე გაგვეყვანა. ასეთებია: ბიდისთავის, ნაბეღლავის, ბუკისციხის, დაბლაციხის კოლმეურნეობები, საჭმიასერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და სხვ.

თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია პასუხსაგებ უბნებზე კადრების არასწორად შერჩევას, ეს ნათლად გამოვლინდა ჩვენი რაიონის საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო საბჭოს საქმიანობაში, აქ რესპუბლიკის „კოლმშენის" ყოფილი ხელმძღვანელების დაკვინებითი მოთხოვნითა და რეკომენდაციით ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაინიშნენ ნ. გიგიბერია და ჯ. თორთლაძე, რომლებმაც ჩაშლის პირამდე მიიყვანეს საქმე. პარტიის რაიკომის ბიუროომ ამ ორგანიზაციაში წესრიგის დასამყარებლად ქმედითი ღონისძიებები განახორციელა. იგი დაკომპლექტა ადგილობრივი მცოდნე და ენერგიული კადრებით. ამაღლდა პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა, სამშენებლო საბჭო ამჟამად სისტემატურად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

ჩვენ სამართლიანად გვაქვს გაწეული მუშაობის გამო დაუმაყოფილებლობის გრძნობა, რადგან კვლავ ცოტა როდია ნაკლოვანებები: ზოგიერთ შრომითს კოლექტივში ირღვევა სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, კოლმეურნეობათა ერთ ნაწილში დაბალია პროდუქციის წარმოების დონე და მაღალია თვითღირებულება, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველვყავით კოლნეთის მიწების სრულყოფილად ათვისება და მათი ხალხის სამსახურში ჩაყენება.

ამიტომ ადგილობრივ მშრომელებს, ჩამოსულ სტუმრებს გულით ახარებთ რაიონული ცენტრისა და სოფლების სასიკეთო ფერისცვლა მათი კეთილმოწყობისა და განაშენიანების მხრივ. და რაოდენ სამწუხაროა, როცა ასეთ ვითარებაში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო წლების განმავლობაში აკიანურებს რაიონის ცენტრში დაწყებულ 14-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. იგი ჯერ კიდევ შარშან უნდა გადაეცათ ექსპლოატაციოდ. საცხოვრებელი ბინების ნაკლებობას კი მწვავედ განიცდიან ჩოხატაურელი მშრომელები.

ყოველად შეუწყნარებლად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ კურორტ ნაბეღლავში დაწყებული პანსიონატის მშენებლობა წლების განმავლობაში გაუმართლებელი სუბიექტური მიზეზების გამო ჭიანურდება. ეს საკითხი მრავალგზის დავაყენეთ, მაგრამ რესპუბლიკის „კურორტმშენის" ხელმძღვანელობისაგან საქმიანი და პრაქტიკული დახმარების ნაცვლად მხოლოდ მშენებლობის გეგმის კორექტირებას ვიღებთ.

ჩოხატაურელი მშრომელები მეტ პრაქტიკულ და რეალურ დახმარებას მოელიან საქართველოს სსრ საავტომობილო გზებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებისგანაც.

დიახ, მშრომელთა მოთხოვნილებების სისტემატური გათვალისწინება, მათი სურვილებისა და წინადადებების შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილება მუშაობის ლენინური სტილის უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია.

თ. იმედაძე.

საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი.

მეცხოველეობა დამკვრელური უბანია

მხარი ვუსწოროთ მოწინავეებს

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ შეაჯამა საკვებწარმოებაში საუკეთესო შედეგების მისაღწევად გაჩაღებული შეჯიბრების წლევანდელი აგვისტოს შედეგები. განსაზღვრულია რესპუბლიკის შვიდი ზონის გამარჯვებული რაიონები.

პირველ ზონაში:

პირველი ადგილი დაიკავა ყვარლის რაიონმა, რომელმაც დაამზადა 3,94 ცენტნერი საკვები ერთეული პირობითის სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე გაანგარიშებით;

მეორე ადგილი — მარნეულის რაიონმა, რომელმაც 3,12 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა.

მესამე ადგილი — ლაგოდეხის რაიონმა, რომელმაც 2,47 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა;

მეორე ზონაში:

პირველი ადგილი დაიკავა ქარელის რაიონმა, რომელმაც 3,34 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა პირობითის სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე გაანგარიშებით;

მეორე ადგილი — ხაშურის რაიონმა. რომელმაც 3,08 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა;

მესამე ადგილი — თეძრიწყაროს რაიონმა, რომელმაც 2,95 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა.

მესამე ზონაში:

პირველი ადგილი დაიკავა დმანისის რაიონმა, რომელმაც 5,98 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა პირობითის სულ მსხვილფეხა პირუტყვზე გაანგარიშებით;

მეორე ადგილი — წალკის რაიონმა, რომელმაც 5,46 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა;

მესამე ადგილი — ბოგდანოვკის რაიონმა, რომელმაც 4,87 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა.

მეოთხე ზონაში:

პირველი ადგილი დაიკავა ონის რაიონმა, რომელმაც 4,12 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა პირობითის სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე გაანგარიშებით;

მეორე ადგილი — მესტიის რაიონმა, რომელმაც 4,05 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა;

მესამე ადგილი — ხულოს რაიონმა, რომელმაც 3,19 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა.

მეხუთე ზონაში:

პირველი ადგილი დაიკავა მაიაკოვსკის რაიონმა, რომელმაც 1,76 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა პირობითის სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე გაანგარიშებით;

მეორე ადგილი — სამტრედიის რაიონმა, რომელმაც 1,03 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა;

მესამე ადგილი — წულუკიძის რაიონმა, რომელმაც 0,65 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა.

მეექვსე ზონაში:

პირველი ადგილი დაიკავა ცხაკაიის რაიონმა, რომელმაც 1,85 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა პირობითის სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე გაანგარიშებით;

მეორე ადგილი — მახარაძის რაიონმა, რომელმაც 0,42 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა;

მესამე ადგილი — ლანჩხუთის რაიონმა, რომელმაც 0.34 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა.

მეშვიდე ზონაში:

პირველი ადგილი დაიკავეს ქალაქ გაგრის ზონის მეურნეობათა საკვებმომზადებლებმა, რომლებმაც 2,17 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადეს პირობითის სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე გაანგარიშებით;

მეორე ადგილი — გულრიფშის რაიონმა, რომელმაც 1,14 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა.

მესამე ადგილი — გუდაუთის რაიონმა, რომელმაც 0,92 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადა.

მდელოებსა და საძოვრებზე გაჩაღებულია საკვების დამზადება. აჯახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივზე ალმა-ათაში სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის მასალად თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული რესპუბლიკის მექანიზატორები იბრძვიან, რომ შემშედროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ საკვები კულტურებს მოსავალი, მთლიანად უზრუნველყონ ეზები და წვნიანი საკვებით მეცხოველეობის ფერმები, შექმნან საჭირო სამარაგო მარაგი. სოფლის მშრომელები ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ საძოვრული პერიოდის ხელსაყრელი პირობები.

ბალახთდგომა ჩინებულია. საკვებმომზადებლებს მხარდამხარ შრომობენ ქალაქელებიც — შაბათ და კვირა დღეებში ისინი ეხმარებიან მეცხოველეებს ბალახის თიბვაში. საკვების დამზადება ახლა მართლაც რომ საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა. მიწათმოქმედნი ცდილობენ გამოიყენონ ყველა არსებული შესაძლებლობა საკვების ძარაგის გასაადიდებლად. შესაძლებლობა კი ბევრია. „ბეგმოქმედოთ ყველა რეზერვი" — ასეთ დევიზს საკვების დამზადებაზე ყველგან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. არსებობს ყველა შესაძლებლობა არა მარტო საკმარისად უზრუნველყონ პირუტყვი საკვებით ზამთრის პერიოდში, არამედ შექმნან წლინახევარ-ორი წლის მარაგიც.

მოწინავე მეურნეობებში ფართოდ იყენებენ საკვების დამზადების პროგრესულ ტექნოლოგიას: თივის აქტიური ვენტილაციით შრობას, წვნევას, ბალახის ფხვნილის, გრანულებისა და ბრიკეტების დამზადებას.

მაგრამ ყველგან საქმე ასე როდია. საკვების დამზადება გაჯანყრეს ზესტაფონის, თერჯოლის, წყალტუბოს და განსაკუთრებით ქალაქ ტყიბულის ზონის მეურნეობებმა, რომლებმაც მთელ აგვისტოში მხოლოდ 0,1 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადეს ერთ პირობით სულ მსხვილფეხარქიან პირუტყვზე.

ამ დღეებში განსაკუთრებით საჭიროა, რომ ტექნიკა საკვების დამზადებაზე მაქსიმალური უკუგებით იყოს გამოყენებული. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ბალახის ფხვნილის წარმოების აგრეგატებს, გრანულატორებს, რომლებიც ჩინებული საკვებით ფერმების მარაგის შევსების შესაძლებლობის იძლევიან. მაგრამ, სამწუხაროდ, ტექნიკას რაციონალურად რიდი აყენებენ. ბალახის ფხვნილის წარმოებასთან დაკავშირებული მდგომარეობა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამ ძვირფასი საკვების წარმოების გეგმის შესრულებისათვის საჭიროა ყოველდღიურად დამზადდეს 200 ტონა, მაშინ, როცა უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე ეს მაჩვენებელი 150 ტონას არ აღემატება.

მაღალხარისხოვანი თივის მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აქტიური ვენტილაციის მეთოდით გამოშრობას. მაგრამ ბევრ რაიონში ჯერ-იანი არ აღასრულებენ ამ ღონისძიებას. თივის გამოშრობა მხოლოდ თეძრიწყაროს, საგარეჯოს, საღნოლის და წალენჯიხის რაიონებში ხდება.

პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მოკლე ვადაში უნდა მაიწიონ გარიტრეხას საკვების დამზადებაში. ყველაფერი იღონონ, რათა თვითეული მეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფილი იყოს უხეშით, წვნიანით და სხვა საკვებით. თუ არ გვექნება საკვების საკმაო რაოდენობა, ვერ განვითარებენ მეცხოველეობას, ვერ გაზრდიან ხორცის, რძის, სხვა პროდუქტების წარმოებას.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

(საქინფორმი).

სასაკვშირო დროშა — მეძალნიზატორებს

თავდადებული შრომით

ჭლეულს პირველ კვარტალში „სოფლტექნიკის" დმანისის რაიგანყოფილება რესპუბლიკაში მეორე ადგილზე გამოვიდა. მეორე კვარტალში ტრაქტორების შეკეთების გეგმა 107 პროცენტით შესრულდა, ავტომანქანებისა — 102, კომბაინებისა — 130, მექანიზებული სამუშაოებისა — 127, ტექმომსახურებისა — 129, ხოლო თერმების მექანიზაციის გეგმა 176 პროცენტით, განყოფილებამ 7 ათასი მანეთი მოგება მიიღო.

ამ მონაცემებით „საქსოფლტექნიკის" დმანისის რაიგანყოფილების (მმართველი ი. ფუტკარაძე, მთავარი ინჟინერი მ. დეკანოზიშვილი და პარტბიურის მდივანი შ. ოქროიშვილი) კოლექტივი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და გიერთიანება „სოფუსელხოზტექნიკისა" და ფარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაამსახურა. ამ დღეებში დმანისის რაიგანყოფილებას დროშა საზეიმოდ გადასცა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარემ დ. სარიშვილმა.

ამ ჯილდოთი აღფრთოვანებულმა „საქსოფლტექნიკის" რაიგანყოფილების მექანიზატორებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები აიღეს.

ვ. ქინტაური.

„კომუნისტს" უპასუხეს

საქართველოს სსრ ხალხოფლო მშენებლობის სამინისტრო

რედაქციამ მიიღო ურეკის სადამო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ვ. ქუთათელაძის წერილი, რომელიც ურეკის საბჭოთა მეურნეობის კლუბის გაჭიანურებულ მშენებლობის შეეხებოდა.

წერილი გადავგზავნა საქართველოს სსრ ხალხოფლო მშენებლობის სამინისტროს. მინისტრმა ი. ხარაძეშვილმა რედაქციას აცნობა, რომ აღნიშნული კლუბის მშენებლობა არაცენტრალიზებული წესით 1973 წელს დაიწყო ხალოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 13 მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი მ. ცინცერაძე). არსებული პროექტაში გათვალისწინებული იყო ისეთი კონსტრუქციები, რომელთა დამზადება უკვე აღარ ხერხდებოდა, ამიტომ საჭიროა ბაზა პროექტის გადაკეთება, სხვადასხვა უწყებებთან მისი შეთანხმება. მაგრამ ამასთან, როგორც წერილის ავტორი სამართლიანად წერს, მშენებლები მაინცდამაინც დიდი გულისყურით არ მოეკიდნენ თავიანთ საქმეს და ობიექტის ხამუშაოები გაჭიანურდა.

ამჟამად მშენებლობა უზრუნველყოფილია ყველა მასალით. მთლიანად დამთავრდა სანტექნიკური და ელექტროსამონტაჟო ხამუშაოები, დარჩა მოსაპირკეთებელი ხამუშაოები. ობიექტი მეოთხე კვარტალში გადაეცემა ხაექსპლოატაციოდ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

გაზეთ „კომუნისტის" 1976 წლის 22 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის — „ყოველთვის ვაჟა-ფშაველას მუზეუმში?" პასუხად საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუპრავა რედაქციას სწერს:

კულტურის სამინისტრომ დანიშნა ღონისძიებანი ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

1976 წელს დამთავრდება ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეებისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რაც ხამუალებას მოგვცემს დავნგრიოთ მემორიალზე მიშენებული ნაგებობა და აღვადგინოთ ვაჟას ხაცხოვრებელი სახლი პირვანდელი სახით.

მემორიალის რესტავრაციისათვის უკვე მომზდინარეობს საჭირო მეცნიერული კვლევა, მასალების შეგროვება და ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა. რესტავრაცია 1977 წლის ზაფხულში განხორციელდება.

ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს გადაეცა პოეტის ოხზულებათა გამოცემები, ხარგმანები და ვაჟას შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ჩაერთო ექსპოზიციაში. მუზეუმის მუშაკთათვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად და ექსპოზიციაში არსებული ნარეკენების გამოსასწორებლად ადგილზე მივლინებული არიან ხაუზეუმო ხაქმის სპეციალისტები.

გარრთიანება „საქკონსერვმრეწვი"

ახლახანს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც ახმეტის საკონსერვო ქარხანაში საწარმოო გეგმების შეუსრულებლობას ეეხებოდა.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საკონსერვო სამრეწველო გაერთიანების „საქკონსერვმრეწვის" უფროსმა თ. კოპალიანმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეა.

მიმავრებულმა დამამზადებელმა ორგანიზაციებმა საწარმო ვერ უზრუნველყვეს საჭირო ნედლეულით, და, ცხადია, მუშაობა შეფერხდა. ამიტომ „საქკონსერვმრეწვამ" მასზე სხვა დამამზადებელი ორგანიზაციები მიამაგრა და მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა. კრიტიკული წერილის დაბეჭდვის შემდეგ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევით ამჟამად ქარხანა ნედლეულით მომარაგება ძირითადად დამაკმაყოფილებელია. პრაქტიკული დახმარების მიზნით გაერთიანებამ საწარმოში მიავლინა ტექნოლოგი, შემოლებულია სამცვლიანი მუშაობა და მეელი ნედლეული შეუფერხებლად მუშავდება.

„საქკონსერვმრეწვის" გაერთიანებამ კონტროლი დაუწესა ქარხანის ნედლეულით მომარაგებას და „ყველა ღონისძიებას გაატარებს მისი ნორმალურად წარმართვისათვის.

გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი

გორის რაიონის ხიდისთავის მშრომელებმა „კომუნისტის" რედაქციას წერილი გამოუგზავნეს, რომელიც ხიდისთავის ტერიტორიაზე არსებული სარწყავი სისტემის მოშლას შეეხებოდა.

რედაქციამ ხიდისთაველთა წერილი გადაუგზავნა გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რომელიც გვატყობინებს:

**ხიდისთავის ტერიტორია



ღრმა კვალი

„ბრძოლის“ პირველი ნომრის გამოსვლის 75-ე წლისთავი

75 წლის წინათ, 1901 წლის სექტემბრის დამდეგს გამოვიდა საქართველოს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატთა პირველი არალეგალური მარქსისტული გაზეთის „ბრძოლის“ პირველი ნომერი.

გაზეთი დაბეჭდა ბაქოში ლადო კეცხოველის მიერ შოწყობილი არალეგალური სტამბაში. ეს სტამბა ისტორიაში ცნობილია „ნანას“ სახელით. სულ გაზეთ „ბრძოლის“ ოთხი ნომერი გამოვიდა. „ბრძოლაში“ თანამშრომლობდნენ იოსებ სტალინი, ლადო კეცხოველი, ალექსანდრე წულუკიძე, აბელ ენუქიძე და სხვები.

„ბრძოლა“ იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი, რომელიც ლენინური „ისკრის“ შემდეგ ყველაზე უკეთეს მარქსისტულ გაზეთად ითვლებოდა რუსეთში.

გაზეთ „ბრძოლის“ გამოსვლას მხურვალედ მიესალმა ლენინური „ისკრა“, აღნიშნა მის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიების ბრწყინვალე ხასიათი და მნიშვნელობა. გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილ სტატიაში — „რედაქციისაგან“ — მოცემული მუშაობის ფრიად მკაფეთ პროგრამა, საიდლომარ: „გაზეთის უპირველესი მოგალეობაა, რომ იგი იდგეს რაც შეიძლება ახლოს მუშაობა მასასთან, ჰქონდეს საშუალება მუდამ იქონინოს მასზე გავლენა, იყოს მისი შეგნებული და ხელმძღვანელი ცენტრი“.

გაზეთი „ბრძოლა“ იშვა იმ დროს, როცა მთელ რუსეთში ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუციური გლეხობის მისია ხდებოდა. ლენინური „ისკრის“ მსჯავსად გაზეთი „ბრძოლა“ ილეწოდა ახალი ტიპის მებრძოლი მარქსისტული პარტიის შექმნისათვის. გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდა მუშებისადმი მიძღვნილ სალოზუნგად „მიიღეთ და შეტევეთ“, რომელშიც ნათქვამია:

„ეუძლენი ჩვენს ძალიანას ამხანაგებს, ჩვენთან ერთნი და ლენინში შეზრდილნო, რკინის ჯოდემლიანი ცეცხლში გამოწრთობილნო... ოშაშარ ამბორთ, სიმართლისათვის თავდადებულნო, ადამიანის ზნეობრივად ამმაღლებელნო: დავრდომილთა და ნავთულთა გამამხნეველნო, ოსმართლეთის ბორკილთა დამლეწო, ადამიანის შემბორკავ ჯაჭვთა დამამსხვრეველნო, მეცნიერების გამანთავისუფლებელნო, შემზარავ სპყრობელეთა დამანგრეველნო... და გასნალიდეველ ვარკაცთ, თავისუფლებას, სიყვარულს და ერთობას ლოზუნგს ბატრებელნო, ერთგულ და სიმართლისათვის ტანჯულ-წამებულ ამხანაგებს!“

„ბრძოლის“ პირველ ნომერშივე გამოქვეყნდა ლადო კეცხოველის სტატია „ასი წლის იუბილეს გამო“, რომელშიც მხილებულია ეკონომიკის ანტიხალხური პოლიტიკა, ამავე დროს ხაზგასმულია რუსეთთან საქართველოს შეერთების დადი პროგრესული მნიშვნელობა, რომ რუსეთთან შეერთებამ ეიზიკური განაკურეტბისაგან იხსნა საქართველო და მეტიც საფუძველი ჩაუყარა რუსი და ქართველი ხალხების საუკუნო მეგობრობას. ლადო კეცხოველის ეს სტატია ლენინური „ისკრის“ ფურცლებზე მაღალ შეფასების ღირსი ვიყო.

„ბრძოლის“ დაუღალავი შეჭირნდა სოციალისტური შეგნება საქართველოს და ამიერკავკასიის რევოლუციურ მუშებში, ებრძოდა წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, ამხილებდა ესერიტის რეაქციულ ილეფოლოგიას, ამობდა ინტიგიდეულურ ტერორს, ეროვნულ-ეროვნული ბურჟუაზიის მოძრაობის ტენდენციონისტურ ხასიათს.

ისევე როგორც ლენინური „ისკრა“, „ბრძოლა“ გლეხობას ახასიათებდა როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ბუნებრივ მოკავშირეს. გაზეთის ფურცლებზე დიდი ადგილი დაეთმო გლეხთა მოძრაობის ამსახველ მასალებს, მოძრაობისა, რომელიც 1902 წელს საქართველოსა და როსეთის სამხრეთ რაიონებში მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაგლენით დაიწყო.

ლენინურ-ისკრული მიმართულების „ბრძოლის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა სტატიები ეროვნულ საკითხებზე („რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი ოპოზიციანები“, „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“ და სხვ.). გაზეთმა თვალსაჩინო მემკვიდრეობა დატოვა ეროვნული საკითხების ფაქიზ ფეხ-ფეხ ეროვნული ლეგენდების განმარტების, ისე საქართველოსა და ამიერკავკასიაში მისი პრაქტიკული გადაჭრის საქმეში, ხელი შეუწყო ამიერკავკასიის ხალხთა შორის ძმობის და მეგობრობის განმტკიცებას, ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გაშლას.

ბაქოს არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში მარტო „ბრძოლა“ კი არა, ლენინური „ისკრის“ ალაციული ნომრებიც იბეჭდებოდა. როგორც ნ. კრუპსკაია წერს, ბაქოს სტამბა თითქმის მთელ რუსეთს ამარაგებდა „ისკრით“. ვ. ი. ლენინი ხარობდა ბაქოში დიდი არალეგალური სტამბის მჭეროარე მუშაობით. მას მიმოწერა ჰქონდა ბაქოს კომიტეტთან და ლადო კეცხოველთან, რომელსაც ბაქოს სტამბის მამას უწოდებდა. (ვ. ი. ლენინმა კონსპირაციული მოსაზრებით ბაქოს სტამბას „ნინა“ შეარქვა). 1902 წლის „ისკრა“ ლადო კეცხოველს მისამართით ერთ-ერთ წერილში ეუწყებოდა — „ნინას“ მამას: წერილი მიღებულია. გავცნობეთ წერილისათვის მისამართი, ძალი უვარგისია“.

ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთმა „ბრძოლამ“, ცოდლის დაარსება და მოღვაწეობა დაკავშირებულია რევოლუციის რაინდის ლადო კეცხოველის სახელთან, ბოლშევიკური პრესის ისტორიაში ღრმა კვალი გაავლო.

ს. ყურაშვილი.

ფიგნერები და ეკითხვები

ენა უკეთ რომ ვისწავლოთ

□ რუსული ენის „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ □

სკკპ XXV ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ საჭიროა ნაკუნერგოთ მისწრაფება ბავშვებს, დამოუკიდებლად იმდენ-დრეშენენ ცოდნას. მოსწავლის ინიციატივ წიგნია. მას ეხმარება ქრესტომათიები, სასწავლო ატლასები, ფიზიკური და ეკონომიური რუკები, ლექსიკონები, საცნობარო მასალები, მეცნიერული ნიმუშები და სხვ. პროფესორ ალოლო მაჭარაშვილის მიერ შედგენილი რუსული ენის „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ სწორედ ამგვარ დამხმარე ლიტერატურას შეიკუთვნება. იგი რუსულ ენაზე 1976 წელს გამოსცა „განათლებამ“. დასახელებული ლექსიკონი განკუთვნილია საშუალო სკოლისათვის, შეიცავს 15 ათას სიტყვას. წიგნი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მოთხოვნებს უპასუხებს. მოსწავლეები ლექსიკონს გამოიყენებენ საკარაბრო და საკონტროლო წერაში, ხოლო საგნის მასწავლებლები მას მოიმარჯვებენ რუსულ სიტყვათა მართლწერის სიკეთეში. თავლსაჩინონი პროფესორ კ. მაჭარაშვილის ლექსიკონის მეცნიერული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება.

ლექსიკონში გაშუქებულია ყოველივე საჭირო და აუცილებელი, რაც მოსწავლეებს დაეხმარება სკოლაში სწავლის პერიოდშიც და სკოლის დამთავრების შემდეგაც ცხოვრებაში, რუსულად სწორი ზეპირი მეტყველებისა და მართლწერის გამომუშავებაში. ლექსიკონი საგნის მასწავლებელთა მოდმიები თანამგზავრი და საბაგიდო წიგნია.

პროფესორ კ. მაჭარაშვილის რუსული ორთოგრაფიული ლექსიკონი 40 ათასი ტირაჟით გამოიცა, მაგრამ წიგნის ბაზარზე ჯერ ადარ ეშოვება; ეს წიგნის ღირსებასაც მოწმობს და მისი ხელახლა გამოცემის საჭიროებასაც.

ივ. კაკაბაძე.
თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ზვარ-მეზვრის საქებარი

მეგენახეობა და მეღვინეობა საქართველოში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით

მეგენახეობა-მეღვინეობის მკვლევართა შორის ფასდაუდებელი ამგვი მიუძღვის „აკადემიკოს ი. ჯავახიშვილს, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოს მეგენახეობა-მეღვინეობის წარსული.

მისი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ ნათელი გახდა, რომ უძველესი ქართული მეგენახეობა-მეღვინეობის ამომწურავად შესწავლას მეცნიერების არა ერთი დარგის მკვლევარია ერთობლივი ბრძოლა სჭირდება. ი. ჯავახიშვილმა ამთავითვე ცხადყო, რომ კვლევა-ძიების წარმატებით დაგვირგვინებისათვის აუცილებელია რეგიონალური პრინციპი, რადგან საქართველოს ვაზის კულტურით ცნობილი ყველა კუთხე ძლიერ საერთო ფეკტორებთან ერთად ავლენს ნიუანსურ თავისებურებებს, სახელდობრ ვაზის ჯიშების ასორტიმენტში, ღვინის დაყენების წესებში და სხვ.

ამ თავისებურებათა მეცნიერული ფიქსაცია-შესწავლა ეთნოგრაფიებს ამოცანად იქცა. ამდენად, ლ. ფურცელის სარეცენზიო წიგნი „მეგენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“ უაღრესად საჭირო ნაშრომია, რომელშიც საფუძვლიანად არის შესწავლილი ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების ძველი ქართული წესები რაჭის მაგალითზე.

რაჭა, შეიძლება ითქვას, ქართული ეთნოგრაფიის ერთ-ერთი საბადოა. მტრისაგან შედარებით უკეთ დაცული, მთლიანი საქართველოს ეს ისტორიული კუთხე დღემდე ზოგადად ქართული ძველი კულტურის მრავალ ელემენტს ინახავს. ეს კარგად გამოჩნდა ადგილობრივი მეტალურგიის (ნ. რეგვიაშვილი), მეწინდგრეობის (ნ. ბრეგაძე), კოლექტიური შრომის გადმონაშთების (ალ. რობაქიძე) და ავარული წესჩვეულებების (ა. სოხაძე) ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგად.

და აი ახლა, ლ. ფურცელის მონოგრაფიის გამოქვეყნებით აშკარა გახდა, თუ რა დონეზე იდგა ძველ საქართველოში, კერძოდ კი რაჭაში, ვაზის კულტურა. ეს ნათლად ეგრძნობა მეგენახეობის არეს განსაზღვრის ხალხურ სისტემაში, რის შეიეგადაც, რთული რელიეფის მიუხედავად, ყოველი მტკაველი მიწა მაქსიმალურად იყო თვისებული.

ვაზის ჯიშები გამოყვანილი და შერჩეული ჰქონდათ ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, ვეგეტაციის პერიოდების ზუსტი გათვალისწინებით. ამდენად მეღვინე ყოფილა ქართი მეგენახის სელექციური ცოდნა, რომ მალალმთიანი ცალკეული სოფლისათვის ვაზის საგანგებო ჯიშებიც არის შექმნილი (თხმორული, ხოტიური და სხვ.).

უაღრესად მნიშვნელოვანია დაჭანებული ექსპროპრიაციის მქონე სავარგულების თვისების, გამოყენებისა და ტაცვის მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა, რასაც სარაცენზიო წიგნი საგანგებო პარაგრაფი აქვს დათმობილი. ღვინის დაყენების ხალხური წესებიც დიდად საყურადღებოა და ამ შეიძლება ავტორს არ დავეთანხმოთ მათი შენარჩუნების აუცილებლობაში.

წიგნი ექვსი თავისგან შედგება და ისეა გაპრეზენტებული, რომ ხალხური მეგენახეობა-მეღვინეობის სრულ სურათს იძლევა. მკითხველი ამომწურავად ეცნობა მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებულ ძველებურ ტექნიკას, ინარეკ-ეურეულს, ნაგებობებს, შრომის ორგანიზაციას, სოციალურ საკითხებს, რელიგიურ ასფეტებს.

წიგნი ხატოვანი ენით არის დაწერილი. იგი წამდვილი აკადემიური გამოცემაა, ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე, ანოტაცია ინგლისურ ენაზე, კარგად დასურათებული ტაბულები და შესანიშნავად შედგენილი საძიებელი.

ამ პირველი წიგნიდან ჩანს, რომ ავტორს განზრახული აქვს საქართველოს მეგენახეობა-მეღვინეობის სხვა რეგიონებიც მონოგრაფიულად შეისწავლოს.

გ. ჩაგელიშვილი,
ფილოსოფ.

ალზრდის იდეები ხალხურ შემოქმედებაში

ბამოვიდა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ან. ხინთიბიძის ნაშრომის „ალზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“ მეხუთე, დამამავრებელი წიგნი. წიგნში გარკვეულია ხალხურ პედაგოგიურ შეხედულებათა შესწავლის მნიშვნელობა; ხალხური პედაგოგიკის საფუძვლები, მიზანი და ამოცანები; ხალხის შეხედულებები ბავშვის შემეცნების როლზე გონებრივ ალზრდა-განვითარებაში; ხალხური დიდაქტიკა — ცოდნა-გამოცდილების დაუფლების საფუძვლები; ხალხური ზნეობრივი ალზრდის საკითხები; ესთეტიკური შეხედულებები და ესთეტიკური გრძნობის ალზრდა; შეგონებანი, მარადიულობისა და წარმავლობის ხალხური დიალექტიკური გაგება; სამეცნიერო-ფილიკური ალზრდა, თვითალზრდა; ინდივიდუალური, ჯგუფური და სასკოლო სწავლება; ალზრდელი მასწავლებლის თვისებები და მოვალეობა; ალზრდის ფაქტორები, ხალხური ალზრდის ცხოვრებისეული და ფსიქოლოგიური საფუძვლები; ხალხური პედაგოგიკის როლი პროგრესული პედაგოგიური აზროვნებისა და სკოლის განვითარებაში; ფოლკლორის სწავლების მნიშვნელობა საბჭოთა მოქალაქის ჩამოყალიბებისათვის.

გარდა ფოლკლორისა, ნაშრომი ემყარება ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ, ლიტერატურულ, ისტორიულ მონაცემებსა და ხალხურ ფილოსოფიურ გაზრებებს.

როგორც წიგნის ანოტაციაშია აღნიშნული, „ეს ნაშრომი დაეხმარება მოსწავლე ახალგაზრდობას, პედაგოგებს, მშობლებს და ამ საკითხით დაინტერესებულ სხვა პირებს“.

გ. შატაიძე.

ჟურნალ „ოქროს საკვერცხე“

საკდესი და უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

ფაქტები, პრობლემები

6 სექტემბერი

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით

ამერიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

ნიუ-იორკი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის შექმნის 57-ე წლისთავთან დაკავშირებით მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც შეჯამებულია ამერიკელი კომუნისტების საქმიანობის შედეგები და დასახულია ახლანდელი ეტაპის ამოცანები.

პარტია, ნაზგასმულია დოკუმენტში, კლასობრივი ბრძოლებისა და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ქარ-ცეცხლში იშვა და მას საუფლოდ დაედო მარქსიზმ-ლენინიზმის — კაპიტალისტური ექსპლოატაციის ლეკვიდაციისა და სოციალიზმისაკენ წინსვლის გზების შესახებ ყველა ეშორომელის უნივერსალური მოძღვრების პრინციპები. თავის საქმიანობაში იგი ამერიკის მუშათა კლასის დიდ გამოცდილებას ეყრდნობა. მას ამოავლენ მაღალ უმრავლეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა. სამი ათასზე მეტმა ამერიკელმა კომუნისტმა სიცოცხლე გასწირა ესპანეთში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქვეყნის ისტორიაში ცალკე თავად შეეფინა პარტიის მონაწილეობა პიტლერიზმის წინააღმდეგ ომში. კომუნისტები დაუცხრომლად და გაბედულად იბრძოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული ავანტიურების და უწინარეს ყოვლისა ვიეტნამში მარბიროსული ინტერვენციის წინააღმდეგ.

ახლანდელ წლისთავს, აცხადებს ცენტრალური კომიტეტი, კომპარტია აღნიშნავს საგიფცავო მოძრაობაში ფართო მონაწილეობით, ფემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებისათვის, რასიზმისა და რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით. მისი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა გახდა მშრომელი მასების მობილიზაცია იმისათვის ბრძოლაში, რომ პენტაგონმა შეამცროს ბიუჯეტი და ამორგად განთავისუფლებული სახსრები გამოყენებულ იქნეს ამერიკის მწვავე სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, ითქვა ამავე, რომ ვიშინგტონის თავისმკვლელი და დამანგრეველი სამარი პროგრამა მშვიდობის პროგრამით შეიცვალოს.

ეს მიზები დიდი საფუძველ, ნათქვამია განცხადებაში, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციებზე და ეიგპრეზიდენტის პოსტზე კომპარტიის კანდიდატებს — გენერალური მდივნის გ. ჰოლს და ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის წევრის ჯ. ტაბერის საარჩევნო პროგრამას. ამ პროგრამის განხორციელება სახეს უცვლის ქვეყანის, ბოლოს მოუდებს სიღატაკეს და უმუშევრობას, გაათავისუფლებს ამერიკელ ბრონ ტიტოსა და სხვა ორატორების აზრით, ამერიკის სამხრეთში მდგომარეობის გამწვავებამ შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს მთელი კონტინენტის მშვიდობასა და უმშრომელობაზე. კონფერენციამ მოითხოვა მოსკოპოს ამერიკაში კოლონიური და რასისტული რეჟიმების ნაშთები.

კონფერენციის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი გახდა ეკონომიური დეკლარაციაც. მიუმხრობელი ქვეყნები მტკიცედ მოითხოვენ, რომ შესრულდეს ეგიპტიანებული ერების ორგანიზაციის ეგზერალური ასამბლეის მეეექვსე და მეშვიდე სპეციალური სესიების გადაწყვეტილებები, რომლებიც, როგორც ვიცით, საფუძვლად დაედო თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთსარგებლიანობაზე დამყარებული ახალი საერთშორისო ეკონომიური წესის პრინციპებს.

როგორც ვხედავთ, კოლომბოში წარმოთქმული სიტყვები აშკარად ანტიიმპერიალისტური ხასიათისაა, და ეს სავსებით ბუნებრივია. მტკიცეულია და ბევრად მოძველებული პრობლემების გადაჭრა, არსებითად, იმპერიალიზმის წინააღმდეგობას აწყდება.

ღღესაც გაიგონებთ მსჯელობას იმის შესახებ, თითქოს განვითარებადი ქვეყნების ანტიიმპერიალისტური მოქმედება მიუმხრობლობის მოძრაობის პრინციპებს არ ეთანხმებოდეს. იმპერიალისტური პროპაგანდისტები და მათი დამქაშები ამტკიცებენ, თითქოს მიუმხრობლობის მოძრაობა წარმოიშვა და უნდა განვითარდეს „ნეიტრალისტურ დაჯგუფებად“, რომელიც მოვალეა „ომზე განუფებად“ უმთავრეს საერთაშორისო პრობლემებს. ამით ისინი ცდილობენ საჭირბოროტო ამოცანებს ჩამოაშორონ განვითარებადი ქვეყნების ყურადღება, მიუმხრობლობის მოძრაობას არასოდეს არ დაუსახავს მიზნად განზე იდგეს ან მშვიდად აღევნოს თვალყური ომებს. ამ მოძრაობის ფუძემდებელი „ბაკაპარალ ნერუ, ნასერი, სარიმბაკო ბანდარანაიკე და სხვები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ბრძოლა კოლონიალიზმისა და ბრძოლა ყველა ნეიტრალიზმისა და ომის დანაშაულების ლიკვიდაციისათვის, ქვეყნად თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის დამყარებისათვის. ეს, სადაც თავისუფლებასა და სამართლიანობას საფრთხე ექმნება, ანდა იქ, სადაც აგრესია ხდება, ამბობდა დამოუკიდებელი ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრი, „არ შეგვიძლია ვიყოთ და არც ვიქნებით ნეიტრალურნი“.

განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები არ იფარგლებოდნენ მოწოდებებითა და კეთილი სურვილებით. ისინი შესაბამის საგარეო-პოლიტიკურ კურსსაც ახორციელებდნენ, რომელიც, ბუნებრივია, ანტიიმპერიალისტური იყო. ჯერ კიდევ 50-იან წლებში ასიისა და არაბული აღმოსავლეთის მეტმა წილმა ქვეყნებმა კატეგორიული უარი განაცხადეს დაკავშირებოდნენ დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციებს. ქვეყნებმა, რომლებმაც კოლონიური უღელი მოიშორეს, უგულებელყვეს ლაციცისა და ზეგავლენის ანტიიმპერიალისტური პოლიტიკა და უარყვეს სეატოსა თუ ბაღდადის პაქტის (რომელსაც შემდეგ სენტო უწოდეს) ტიპის სამხედრო ბლოკები. აფრიკა-აზიის მეტი წილი ქვეყნების შეერიგებელმა პოზიციამ, ფაქტიურად, ხალხთა ნეოკოლონიზაციის იარაღი ხელიდან გააგდებინა იმპერიალისტებს. ბლოკები არსებითად იმპერიალიზმის მკვლრადშობილი პირმშოები აღმოჩნდნენ და დიდსახს გაყინული რჩებოდნენ. მხოლოდ სეატოს იყენებდნენ აგრესიული მიზნით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბლოკმა იმდენად გაიტანა სახელი, რომ მისი მესვეურები იძულებული გახდნენ დათანხმებოდნენ პროგრესული ძალების მოთხოვნებს და დაეთხოვათ ეს სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია.

გასაგებია მიუმხრობელი ქვეყნების ნეგატიური დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ბაზებისადმიც. სუარეზ ფილიპინებზე, ტაილანდსა და სამხრეთ ვიეტნამში პენტაგონის ბაზებიდან აწყობდნენ აგრესიას და სამხედრო პროვოკაციებს ვიეტნამის, ლაოსის, კამბუჩიის, ინდონეზიის წინააღმდეგ. დასავლეთის სამხედრო ბაზებს ახლაც იყენებენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების წინააღმდეგ დასაშინებელი აქციებისათვის.

თავიანთი არსებობის მთელი წლების მანძილზე მიუმხრობელი ქვეყნები აქტიურად უჭერდნენ მხარს ხალხთა ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, ჯანსაკუთრებით ინდოეთში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში.

იმპერიალიზმს ჩვენს დროშიც არ აუღია ხელი თავის ნეოკოლონიალისტურ პრეტენზიებზე. თუმცა კი უკან იხევს, მაგრამ, სირიმავო ბანდარანაიკეს თქმით, „ახალი სახით გვევლინება“, ეყრდნობა ახალ, „ასეთსაკენ საშიშ“ იარაღს. საქმე ეხება დაკირავებულთა გამოყენებას, ერთაშორისი კორპორაციების დამღუპველ როლს, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების კანონიერ მთავრობათა პოზიციებს ძირს უთხრიან, მერყევ ელემენტებს ქირაობენ, საშინაო საქმეებში ერევიან. დასავლეთის მონოპოლიები უარს ამბობენ მოაწესრიგონ ეკონომიური თანამშრომლობა დემოკრატიულ და ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე და კვლავ უზარმაზარ სარგებელს იღებენ განვითარებადი ქვეყნების ბუნებისა და ადამიანთა რესურსების ექსპლოატაციის შედეგად. ამერიკის ნავთობის კომპანია „ექსონის“ წმინდა მოგება, მაგალითად, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გასამეცდა. არათანასწორუფლებიანობა ვაჭრობაში დღენიადაგ ზრდის განვითარებადი ქვეყნების საგ ვაჭრობელო ბალანსის დეფიციტს. მარტო ამ ბოლო სამი წლის მანძილზე იგი 12-დან 45 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

ახლა, როცა პლანეტაზე არსებითად შეიცვალა პოლიტიკური ძალების თანაფარდობა სოციალიზმისა და პროგრესის სასარგებლოდ, განვითარებად ქვეყნებს რეალური შესაძლებლობა შეეძლათ არა მარტო სამართლიანი ანგარიში წაუყენონ იმპერიალიზმსა და რასიზმს, არამედ აიხდინონ თავიანთი ოცნებები. მათ ხომ შეუძლიათ ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეყრდნონ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების თანმიმდევრულ მხარდაჭერას, რომლებიც განუხრელად იღებენ ქვეყნად სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის, ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი ურთიერთობისათვის.

ბ. ლევენტიევი,
ახალი ამბების ხაბეჭდი.

საქართველოს შენიშვნები

მიუმხრობლობის საარსებო პრობლემები

მიუმხრობელი ქვეყნების V კონფერენციის შედეგების გამო

იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აპარტეიდისა და სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა განვითარებადი ქვეყნების ძირითადი ამოცანაა. ეს ახლახან ყველა განაცხადეს მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების V კონფერენციაზე. კოლომბოში გამართულმა საერთაშორისო ფორუმმა შეიმუშავა პოლიტიკური და ეკონომიური დეკლარაციები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ბევრ სამართლიან მოთხოვნას შეიცავს.

უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ პრობლემათა შორის არის მოწოდება საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, დაძაბულობის შენელების პროცესის გაფართოებისათვის, განვითარებადი ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის მეწყვეტისათვის, საშინაო სიტუაციების დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის.

სოლომონ ბანდარანაიკის სახელობის სასახლეში გამოსულმა ორატორებმა ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მთავარი დამნაშავე უწოდეს ისრაელს. ამასთანავე მათ დიდი პასუხისმგებლობა დააკისრეს იმათ, ვინც ისრაელს სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას უწევს და ამით, როგორც კონფერენციაზე იუგოსლავიის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ განაცხადა, ხელს უწყობს მას აგრესიის, არაბული მიწების ანექსიისა და ოკუპაციის პოლიტიკის განგრძობაში. ისრაელსა და მის მფარველებს კიდევ ერთხელ მოსთხოვეს ბოლოს და ბოლოს შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებები და პალესტინელ ხალხს მიანიჭონ ეროვნული თვითგამორკვევის უფლება.

კონფერენციის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს აგრეთვე კვიპროსის პრობლემის სამართლიან გადაჭრას, საბრეთ კორეიდან პენტაგონის სამხედრო ქვეგანყოფილების გაყვანას, ინდოეთსა და ჩინეთ ოკეანეების ზონაში ღასავლეთის სამხედრო ბაზების დემონტაჟს. მრ. ლანჯის პრემიერ-მინისტრმა სირიმავო ბანდარანაიკემ დაგმო, კერძოდ, შეერთებული შტატები იმის გამო, რომ დიეგო-გარსიას კუნძულზე მოახდინა სამხედრო ბაზის მოდერნიზაცია, და მოუწოდა ინდოეთის ოკეანე გადაეკეთონ მსოფლიოს მშვიდობის ზონად.

როდეზიისა და სამხრეთ აფრიკის რასისტულიკის რასისტული რეჟიმების სამხედრო პროვოკაციებს მოზამბიკისა და ზამბიის წინააღმდეგ ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა ხალხის აბუჩად აგდება უწოდეს კოლომბოში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კურტ ვალდჰაიმის, იოსიპ ტიტოსა და სხვა ორატორების აზრით, აფრიკის სამხრეთში მდგომარეობის გამწვავებამ შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს მთელი კონტინენტის მშვიდობასა და უმშრომელობაზე. კონფერენციამ მოითხოვა მოსიპოს აფრიკაში კოლონიური და რასისტული რეჟიმების ნაშთები.

კონფერენციის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი გახდა ეკონომიური დეკლარაციაც. მიუმხრობელი ქვეყნები მტკიცედ მოითხოვენ, რომ შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგზერალური ასამბლეის მეექვსე და მეშვიდე სპეციალური სესიების გადაწყვეტილებები, რომლებიც, როგორც ვიცით, საფუძვლად დაედო თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთსარგებლიანობაზე დამყარებული ახალი საერთშორისო ეკონომიური წესის პრინციპებს.

როგორც ვხედავთ, კოლომბოში წარმოთქმული სიტყვები აშკარად ანტიიმპერიალისტური ხასიათისაა, და ეს სავსებით ბუნებრივია. მტკიცეულია და ბევრად მოძველებული პრობლემების გადაჭრა, არსებითად, იმპერიალიზმის წინააღმდეგობას აწყდება.

ღღესაც გაიგონებთ მსჯელობას იმის შესახებ, თითქოს განვითარებადი ქვეყნების ანტიიმპერიალისტური მოქმედება მიუმხრობლობის მოძრაობის პრინციპებს არ ეთანხმებოდეს. იმპერიალისტური პროპაგანდისტები და მათი დამქაშები ამტკიცებენ, თითქოს მიუმხრობლობის მოძრაობა წარმოიშვა და უნდა განვითარდეს „ნეიტრალისტურ დაჯგუფებად“, რომელიც მოვალეა „ომზე განუფებად“, რომელიც მოვალეა „ომზე განუფებად“ უმთავრეს საერთაშორისო პრობლემებს. ამით ისინი ცდილობენ საჭირბოროტო ამოცანებს ჩამოაშორონ განვითარებადი ქვეყნების ყურადღება, მიუმხრობლობის მოძრაობას არასოდეს არ დაუსახავს მიზნად განზე იდგეს ან მშვიდად აღევნოს თვალყური ომებს. ამ მოძრაობის ფუძემდებელი „ბაკაპარალ ნერუ, ნასერი, სარიმბაკო ბანდარანაიკე და სხვები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ბრძოლა კოლონიალიზმისა და ბრძოლა ყველა ნეიტრალიზმისა და ომის დანაშაულების ლიკვიდაციისათვის, ქვეყნად თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის დამყარებისათვის. ეს, სადაც თავისუფლებასა და სამართლიანობას საფრთხე ექმნება, ანდა იქ, სადაც აგრესია ხდება, ამბობდა დამოუკიდებელი ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრი, „არ შეგვიძლია ვიყოთ და არც ვიქნებით ნეიტრალურნი“.

განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები არ იფარგლებოდნენ მოწოდებებითა და კეთილი სურვილებით. ისინი შესაბამის საგარეო-პოლიტიკურ კურსსაც ახორციელებდნენ, რომელიც, ბუნებრივია, ანტიიმპერიალისტური იყო. ჯერ კიდევ 50-იან წლებში აზიისა და არაბული აღმოსავლეთის მეტმა წილმა ქვეყნებმა კატეგორიული უარი განაცხადეს დაკავშირებოდნენ დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციებს. ქვეყნებმა, რომლებმაც კოლონიური უღელი მოიშორეს, უგულებელყვეს ლაციცისა და ზეგავლენის ანტიიმპერიალისტური პოლიტიკა და უარყვეს სეატოსა თუ ბაღდადის პაქტის (რომელსაც შემდეგ სენტო უწოდეს) ტიპის სამხედრო ბლოკები. აფრიკა-აზიის მეტი წილი ქვეყნების შეერიგებელმა პოზიციამ, ფაქტიურად, ხალხთა ნეოკოლონიზაციის იარაღი ხელიდან გააგდებინა იმპერიალისტებს. ბლოკები არსებითად იმპერიალიზმის მკვლრადშობილი პირმშოები აღმოჩნდნენ და დიდსახს გაყინული რჩებოდნენ. მხოლოდ სეატოს იყენებდნენ აგრესიული მიზნით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბლოკმა იმდენად გაიტანა სახელი, რომ მისი მესვეურები იძულებული გახდნენ დათანხმებოდნენ პროგრესული ძალების მოთხოვნებს და დაეთხოვათ ეს სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია.

გასაგებია მიუმხრობელი ქვეყნების ნეგატიური დამ

ლუხუნის მთებში

ურავის ახალი ცხოვრება







6 სექტემბერს თბილისში გაიხსნა საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი, რომელიც ეძღვნება თემას — „დარიშხანისა და მისი შენაერთების პერსპექტივების განვითარება მეათე ხუთწლედში". თათბირს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს საწარმოო გაერთიანება „სამთო-ქიმია" ატარებენ. ამ დღეებში „კომუნისტის" კორესპონდენტი ურავში ეწვია სამთო-ქიმიურ ქარხანას. რეპორტაჟს ვთავაზობთ მკითხველებს.

არც ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ლუხუნის მთებში მოხუცმა ურაველმა მონადირემ მახეილ რეზვიაშვილმა მიაგნო ძვირფას ქიმიურ მადანს — დარიშხანს, რომელსაც დიდი ხანია ეძებდნენ გეოლოგები.

და აი რაჭის მთებში აშენდა დარიშხანის პირველი საბადო, ურავში კი სამთომეტალურგიული კომბინატი. სოფელი ურავი ქართული ქიმიის ერთ-ერთი უნიკალური კერა გახდა. ამჟამად ეს სამთო-ქიმიური ქარხნის 36 სახეობის პროდუქციას კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირში და უცხოეთშიც.

მომავალ წლებში მთლიანად შეიცვლება სამთო-საწარმო — მიმდინარეობს მისი გენერალური რეკონსტრუქცია, რომელიც გაზრდის პროდუქციის გამოშვებას, გააუმჯობესებს ტექნოლოგიურ პროცესებს.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ურავის სამთო-ქიმიური ქარხნის ლითონური დარიშხანის ახალი საამქრო; მარჯვნივ — ქართული დარიშხანის ერთ-ერთი პირველი მომპოვებელი, ურაველი მონადირე მახეილ რეზვიაშვილი; დარიშხანის პრეპარატების საამქრო; ქვემოთ მარცხნივ — ქიმიური ქარხნის სიმაღე — ლითონური დარიშხანი; მარჯვნივ — მონოკრისტალების მიღების უბნის მეპარატე ლ. ჭელიძე.

ს. კილაძის ტექსტი და ფოტო.

ძველი თასის სიჭაბუკე

□ 40 წელი პირველი ცდის შემდეგ □ ძლიერი თამაში და ძლიერი ხასიათი □ არავითარი შემთხვევითობა

თბილისის „დინამოს" მიერ სსრ კავშირის თასის მოპოვების ამბავი ფეხბურთის ახალგაზრდა მოყვარულთათვის ალბათ იმდენადვე მშვენიერია, რამდენადაც უბრალო, მკაფიო და სწრაფი! მან ადრე გაზაფხულზე აჯობა ზაპოროჟიეს „მეტალურგს", მერე „ზენიტს", შემდეგ „ყარაბაღს", შემდეგ წესიერად და ზუსტად გაიარა „ვიწრო დაფაზე" დონეცკში და თავისი გზიდან ჩამოიშორა ძლიერი „მასტიორი", ბოლოს დამაჯერებლად მოუგო ლუჟნიკში „არარატს" — და აი თასი გუნდის კაპიტნის მანუჩარ მაჩაიძის ხელშია!

მაგრამ იმათთვის, ვინც ასაკით უფროსია — მე კი მათ რიცხვს ვეკუთვნი — თბილისელთა მიერ თასის მოგების ისტორია დიდი ხნის ამბავია. მინდა ეს ამბავი თანდათანობით გიამბოთ, შორიდან დავიწყო.

ყველა, ვინც დაკავშირებულია ფეხბურთთან, აუცილებლად ინახავს რაიმე სამახსოვრო რელიკვიას — სამკერდე ნიშნებს, წიგნებს, ფოტოსურათებს, ვაზეთების ამონაჭრებს, მატჩების პროგრამებს... მეც მაქვს ფეხბურთის ასეთი პატარა სამინაო არქივი. აქ ჩამოვიხ ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ექსპონატი უკვე ფერგადასული ქაღალდია.

პირველ გვერდზე წერია: „ფეხბურთი, სსრ კავშირის თასის გათამაშება. მეოთხედფინალი. 1936 წლის 16 აგვისტო. მატჩი „სპარტაკი" (მოსკოვი)-„დინამო" (ტფილისი). დასაწყისი 18 საათზე. „დინამოს" სტადიონი". მოსკოვი, პეტრეს პარკი. ტრიბვა: 1, 6, 13, 23, 25, 45. ვაზეთ „კრასნი სპორტის" გამომცემლობა. ფასი 20 კაპ.".

განზე მომყავს ეს ფურცლები, რათა მკითხველმა წარმოიდგინოს, თუ რა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. ჯერ მეტრიც არ გადაიოდა სტადიონისაკენ, თბილისსაც ტფილისი ერქვა, ხოლო „სოვეტსკი სპორტს" — „კრასნი სპორტი"...

შუაში ვკითხულობთ: „...ტფილისელთა გუნდი, რომელმაც ბრწყინვალედ დამთავრა სსრ კავშირის საგაზაფხულო პირველობის გათამაშება „ბ" ჯგუფში და „ა" ჯგუფში გადავიდა, და მოსკოვის „სპარტაკი", რომლის სპორტული ღირსებები ცნობილია ბევრისათვის, გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს..."

ახლა იმ მატჩის მონაწილეთა შესახებ ასე იტყობინენ: დაბალი ლიგიდან გამოსული გუნდი — ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორის წინააღმდეგ. ასეთი იყო იგი მოსკოველთა უმრავლესობასათვის, რომლებიც ეღოდნენ ცნობილი „სპარტაკის" იოლ გამარჯვებას. თუმცა მაშინ ყმაწვილი ვიყავი, დღემდე მახსოვს ის გაოცება, რომელიც იმ მატჩზე განვიცადე. თავდაპირველად „ეარე იყო, თანაც როგორი — — 3:3! მერე ისევ მივდიოდით ტრამვაით პეტრეს პარკში ხელახლა თამაშზე და ახლა უფრო მეტი ვიყავით, რადგან მოსკოველები დაინტერესდნენ ამ ბრძოლით. და ისევ იგივე დრამატული 3:3. მხოლოდ პირველად წინ იყვნენ სპარტაკელები — 3:1, მეორედ კი იმავე ანგარიშით — დინამოელები. და უკვე დამატებითის დროში მოსკოველი მაყურებლებიდან ცოტა ვინმესათვის ცნობილმა ქართველმა დინამოელებმა გეტეფეს ნიბისყოფიანი „სპარტაკი" და კიდევ სამი ბურთი გაიტანეს.

რა თავისებურია გუნდების ბედი! იმ მორგულ სეზონში, როცა თბილისს „დინამო" ერთბაშად და უცვლობლად ერთ-ერთ მოწინავე გუნდად იქცა, დინამოელებმა ამავე დროს მარცხის სიმწარეც იგემეს, ფინალში მოსკოველ „ლოკომოტივთან" რომ წაგეს, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, „სპარტაკზე" ნაკლებად საშიში მეტოქე იყო. მაშინ, რა თქმა უნდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ ბრწყინვალე, თავისებურ გუნდს — თბილისის „დინამოს", რომელიც პირველი ცდისთანავე თასის ფინალში გავიდა, ორმოცი წელი ღესჭირდებოდა(!), რათა, ბოლოს და ბოლოს, მიეღო ეს თასი. მაგრამ სწორედ ასე მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ იმ შორეულ 1936 წელს, თბილისის „დინამო" ერთდროულად მაღალი კლასის გუნდიც იყო და თანავიანი გუნდი, რომელსაც სათასო ბეღი არ სწყალობდა.

ხუმრობა ხომ არ არის, თბილისელები რვაჯერ მივიდნენ მეოთხედფინალამდე, ექვსჯერ — ნახევრფინალამდე, ხუთჯერ — ფინალამდე, ხანგრძლივი წლების მანძილზე გაბეღული სათასო მეგრძოლების სახელი მოიხვეჭეს, მაგრამ... უთასოდ.

მე წილად მხვდა ბედნიერება ხუთივე ფინალი მენახა, რომლებშიც თბილისელები მონაწილეობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ორი მათგანი — „სპარტაკთან" (1946 წელს, 2:3 დამატებით დროში) და „ტორპედოსთან" (1960 წელს, 3:4, აგრეთვე დამატებით დროში) ამ თვალსაჩინო მატჩებს ეკუთვნის რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გახსოვს, რომლებიც შედის ცნობარებში, მეშუარებში, ერთი სიტყვით, ნიშანსვეტები ხდება ფეხბურთის ისტორიაში. თვალსაჩინო მატჩები მარტო გამარჯვებულის მიღწევა რდა, იგი აუცილებლად ორივე მხარის მიღწევაა. ასე იყო ამ ორ შემთხვევაშიც. თბილისელები არაფრით ნამოუგარდებოდნენ მეტოქეებს, მაგრამ მატჩში ბედნიერი უკანასკნელი დარტყმა მათი არ იყო ხოლმე.

თბილისელები შეიძლება ან კარგად გამოსულიყვნენ ან ცუდად, მაგრამ ყოველთვის კარგები იყვნენ, არასოდეს ჰგავდნენ არცერთ სხვა გუნდს. ამ თვისებურებას ვერავინ წაართმევს მათ, მაგრამ ზუსტად ასევე მოისვენებს მათ ისეთი გუნდის სახელი, რომელსაც ცოტაღა აკლია მთავარ პრიზებამდე. წლითიწლობით ეს საწყენი, ხანაც კი უცნაური გაუგებრობა იყო, ამაზე ხუმრობდნენ, ამას მიეჩვივნენ. ამბობდნენ: „თბილისის „დინამო?" საუკეთესო გუნდია, საინტერესო სანახავია ნისი თამაში! მაგრამ სახიფათო კონკურენტი არ არის".

მე ყოველთვის მიყვარდა თბილისის სტადიონზე ჯდომა. ხალხი იქ გულისხმიერად ეხმაურება ყოველ ოსტატურ ილეთს, ელის მას, ტაებებ, გული შესტკივა, მაგრამ არა ბოროტად, არა ბრმად, როგორც ზოგიერთ სხვა სტადიონებზეა ხოლმე. როგორც კი მათი გუნდის თამაში არ აეწყობა და იგი ზანტად მოქმედებს ან სიყალბეს სჩადის, ტრიბუნებზე მაშინვე უკმაყოფილების გუგუნი გადაიელის, სინანულის ნიშნად ხელს იქნევენ. აქ თავიანთი გუნდის ჯერ კარგი, ლამაზი თამაშის ხილვა სურთ, შემდეგ კი ქულებს ითვლიან. სატურნირო სიტუაციაში — „ცუდი ფრეა, მაგრამ მაინც ჩვენია" — ნაკლებად შეეხო თბილისის „დინამოს", ეიდრე სხვა გუნდებს. თბილისელ ფეხბურთელთა თაობიდან თაობას ვადაეცემა რწმენა, რომ ფეხბურთი თამაშია. ყოველთვის ცნობილი იყო, რომ ფასდაუდებელი არიან თბილისელები, თუ სიკრცესა და თავისუფლებას გრძნობენ, მაგრამ მოუხერხებელნი ხდებიან, თუ მათ „ყელში სწვდები" და ფეხდაფეხ დასდევ მთელ მოედანზე. ამ გუნდს ყოველთვის რაღაც დონკიხოტობის ელფერი დაჰკრავდა. რა თქმა უნდა, ფეხბურთის რომანტიზმი, პრაქტიციზმისაგან განსხვავებით, სადაც ყველაფერი ეუღებისა და პრიზების მოპოვებას ემექმდებარება, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ფეხბურთს ბოროტებას ვერ მოუტანს.

მაგრამ მაინც საფეხბურთო ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ სიმპათია და შთაბეჭდილებები თავისთავად კარგია, მაგრამ მიღწევები აუცილებელია. ზოგიერთი გუნდი რაღაც საოცარი სიადვილით, თუნდაც გარეგნული სიადვილით, სწრაფად აღწევდა დიდ წარმატებებს, ასე გასინჯეთ, ცნობილი გუნდებიც კი. მაგალითად, „შახტიორი", „კარპატი", „არარატი" — თასის გათამაშებაში, ანდა „ზარია" და იგივე „არარატი" — ჩემპიონატებში. მაგრამ თბილისის „დინამო" კი, რომელსაც დამსახურებაც მეტი მიუძღვის, დიდი ხნის ისტორიაც აქვს, უფრო დიდი სახელიც მოუზეგია, ნაკრებ გუნდებშიც მნიშვნელოვანი წვლილი უდევს, ვერ შეეგიდა სათასო გამარჯვებულთა სიაში, სადაც უკვე ადნიშნული იყო 34-სახელწოდებიანი სვეტი.

და აი, ბოლოს და ბოლოს, უბედური სათასო თავგადასავლების ჯაჭვი გაწყდა, და თბილისელმა დინამოელებმა ქვეყნის მთავარი სტადიონის სარბენ ბილიაზე თასით გაიარეს, სწორედ იმ ძველი და საყვარელი ბროლის თასით, უსაზღვროდ ძვირფასი თასით, რომელიც ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ იზიდავდა სახელოვან ქართველ ოსტატებს, რომელთაც ლეგენდარული ბორის პაიჭაძე მეთაურობდა. ოსტატთა იმ კოჰორტიდან ყველა ვერ მოესწრო ამ გამარჯვების დღეს. მაგრამ უეჭველია, ვინც მოესწრო, თავისუფლად ამოისუნთქა: „ხომ მაინც ჩამოგვიტანეთ თასი თბილისში, ყოჩაღ, ბიჭებო!".

ასე რომ, თბილისის „დინამოს" თასის ამბავი მართლაც დიდი და დრამატულია. და, მით უმეტეს, სასიამოვნოა!

ეჭვი არ მეპარება, რომ ამ სტრიქონების მკითხველთა დიდმა უმრავლესობამ ფინალური მატჩი ტელევიზიით ნახა. უკვე ბევრი ანგარიანი წაიკითხა სხვადასხვა გაზეთში ამ მატჩის შესახებ, მათ შორის „კომუნისტშიც". ალარ მოგყვები მატჩის მსვლელობის აღწერას. მხოლოდ მის თავისებურებებს შევეხები.

ყველაზე მძიმე წუთები თბილისელებმა მატჩის დასაწყისში განიცადეს, როცა ოჰანესიანის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა და ქვემოთ ჩამოსხლტდა კარის თეთრ ხაზთან. როგორც ფეხბურთში ყოველთვის ხდება, არ ვიცით, რა მომყვებოდა, ეს დარტყმა თდნავ ზუსტი რომ ყოფილიყო, მაგრამ ამ მძიმე წუთის შემდეგ მეტოქეებს უკვე აღარც ერთხელ აღარ დაუნაგვიათ თბილისელები. მატჩი დაწყებიდან ბოლომდე დინამოელთა კარნახით მიმდინარეობდა. ფინალურ თამაშს რომ ვუყურებდი, სულ მახსოვდა დონეცკში გამართული ნახევარფინალი, რომელიც საოცრად ჰგავდა ამ მატჩს. იქ, ისევე, როგორც აქ, თბილისელები მშვიდად, თავდაჭერილად თამაშობდნენ, ცდილობენ თუ რა უნდა ექნა თავიანთ მათგანს. ისინი ახლაც მაშინდელივით უნარიანად ბეგუნენ თავდაცვას, მაშინდელივით სწრაფად, ეაზრიანოდ და სხარტად მიაჭენდნენ ბურთს. ორივე შემთხვევაში ერთი მაღალი კლასის გუნდის თამაშეკლილის ბოლოდ ნენ, ჩვენ კი კარგად ვიცით, ეს ბოლო ცნობაში ერთ-ერთ ძირითად პირობად შედის კოლექტიური ამოცანებისა და მოთამაშეთა ინდივიდუალური უნარის გაერთიანება. ამ ორ მატჩში თბილისის გუნდი სწორედ შეკავშირებული, გონივრული და არა უსახო, არა რაღაც ულულგულო მექანიზმი იყო, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, როცა აბსურდამდე მიჰყავთ ეერეთ წოდებული სათამაშო დისციპლინა. პირიქით, ორივე მატჩში დაგვატკბეს. უწინარეს ყოვლისა, ყიფიანის, გუცაევის, მაჩაიძის, ჩილეგაძის, კანთელაძის ოსტატურმა ილეთებმა... ბურთებიც — სამივე ბურთი — თითქოს შერჩეულად იყო გაკანონილი. დიახ, სამივე, რადგან პენალტის დანიშნას გუცაევის ულამაზესი რეიდი უძღოდა წინ. ყიფიანისა და ჩილეგაძის დარტყმები კი უაღრესად ეფექტიანი იყო.

მე განზრახ გავაერთიანე ფინალი და ნახევარფინალი. ბოლოს და ბოლოს, ერთ მატჩს. თუნდაც უაღრესად დიდმნიშვნელოვანს, არ შეუძლია ამოშწურავად დაახასიათოს გუნდი. მაგრამ ზედიზედ გამართული ორი მატჩი უკვე უტყუარი სურათია. მაშასადამე, თბილისელებმა თასი რაიმე ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით კი არ მოიპოვეს (ასეც ხომ ხდება!), არამედ ძლიერი თამაშისა და ძლიერი ხასიათის სამუალებით. და ეს შეგვიძლია ორმაგად მივეულოცოთ გუნდსაც და მის მწვრთნელსაც — ნოდარ ახალკაცს.

ახალ ბრწყინვალე მატჩებს ვუსურვებ თასის ახალ მფლობელს!

ლევ ფილატოვი.

მოსკოვი.

მხატვარი ბ. ლომიძე.

დანაშაულის კვალდაკვალ

ვისია დამღა?

დამღა საქონელზე დაკრული ბეჭედი ან ნიშანია პროდუქციის სადაურობისა და ხარისხის აღსანიშნავად. ვინც კი ოდნავ არის ჩახედული და იცნობს წარმოების სპეციფიკას, დამღის ასეთ განმარტებას უფრო დაკონკრეტებს და დაუმატებს ამ ბოლო დროს ესოდენ გავრცელებულ ტერმინებს: პირადი დამღა, ესე იგი როცა მუშა იბრძვის იმისათვის, რომ მის მიერ გამოშვებული პროდუქცია გამოვიდეს პირადი დამღით — ტექნიკური კონტროლი არ სჭირდებოდეს, იყოს უდაფექტო და მოსწონდეს მომმხმარებელს. არის აგრეთვე უმაღლესი დამღა, რომელსაც ხარისხის სახელმწიფო ნიშანი ჰქვია. ამას ანიჭებენ ყველაზე საუკეთესოს, რომელიც მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგას.

სამუშაროდ არსებობს დამღების კიდევ ერთი სახეობაც, რომელიც მართალია, არც სახელმწიფოს და არც რომელიმე წარმოების რეგისტრაციაში არ გაუტარებია, მაგრამ დიდად პოპულარულია „ბილოფეხსაცმელეაჭრობის" სისტემაში მოგალათებულ ზოგიერთ საკმისანთა წრეში. მაგალითად, პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე ფეხსაცმლის № 16 მაღაზიის გამგის მოადგილეს ილია შალვას-ძე კიკნაველიძეს იგი თვალისჩინს ურჩევნია. მართალია, დამღაზე ვერ ამოიკითხავთ ი. კიკნაველიძის, ან მისი რომელიმე კომპანიონის გვარს, მაგრამ საქმეში ჩახედული კომპეტენტური პირები უცილობლად ამტკიცებენ — რომ ამას წინათ ი. კიკნაველიძის მიერ მაღაზიაში საკუთარი „ჟიგულით" მიტანილი ოქდათერთმეტი წყვილი შამაკაცის ფეხსაცმელი ბათუმური წარმოებისა კი არა, ნამდვილად კუსტარული ნახელავია და კიკნაველიძისეული დამღა აზისო.

ამბობენ: დამნაშავეს ასი ჯერ და ასი თვალი აქვსო. ი. კიკნაველიძმაც, მაღაზიაში მისთვის საეჭვო ხალხს რომ მოკრა თვალი, არც აცივა, არც აცხელა, მიატოვა „უსტარულად დამზადებული ტუფლებით სავსე საკუთარი „ჟიგული" და მიიმალა...

ი. კიკნაველიძე სულ რამდენიმე თვეა რაც № 16 მაღაზიაში მუშაობს გამგის მოადგილედ, მანამდე კი ნავთლულის საკონმეურნეო ბაზარში მდებარე ფეხსაცმლის მაღაზიაში „მოღვაწეობდა". და აი იმისათვის, რომ № 16 მაღაზიას „საქონელბრუნვა გაეადიდებინა და გეგმებიც გადაჭარბებით შეესრულებინა"(?!), ისედაც ერთ ციცქნა მაღაზიას სპეციალურად გამგის მოადგილის საშტატო ერთეული დაუმატეს. არა გვგონია, რომ სამკაციან მაღაზიაში ამის დიდი საჭიროება ყოფილიყოს.

მაღაზიის გამგე ლამარა ფიფიას რომ კითხოთ, გეტყვით: ეს შტატი რა თქმა უნდა, საჭირო არ იყო და ზედმეტიაო. რაც ი. კიკნაველიძე მოვიდა ჩვენს მაღაზიაში, მერე მე... საწყობში არ მიშვებდნენ, თვითონ კიკნაველიძე და უფროსი გამყიდველი არკადი ხასიანი განაგებდნენ ყველაფერსო.

დავუჯერთ ლ. ფიფიას, რომ ყველაფერი ეს ასე იყო?! მაშ, რატომ დუმდა აქამდე?!

მიმალულ კიკნაველიძეს ალბათ მალე მიაგნებენ და ალბათ ისიც გარკვევა ვისია დამღა.

ბ. ბახტურიძე.

საქართველოს რაიონებში

დუღეთი

გვეტყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

□ რაიონში ბევრი რამ კეთდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. შარშან ქონვალის პიდროკომპლექსის მშენებლობის ტერიტორიაზე აშენდა ორსართულიანი შენობა, რომელშიც მოთავსებულია 50-საწოლიანი საუბნო საავადმყოფო. იქვეა ინფექციური დაავადებათა კორპუსი. რეკონსტრუქცია გაუკეთდა ბარისახოს საუბნო საავადმყოფოს შენობას. შარშან გუდამაყარში, მალაროსკარში, ანანურსა და უკანაფშავში აეგო საექიმო ამბულატორიის ახალი შენობები, დაბა ფასანაურში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თანამედროვე ტიპის ორსართულიანი საავადმყოფოს მშენებლობა, რომელიც 50 ავადმყოფისათვის არის გათვალისწინებული.

□ რაიონის მთიან ზონაში, კაგასიონის ფერდობებზე ასობით და ათასობით ჰექტარი საძოვარი და სათიბია, სადაც შეიძლება დამზადდეს პირუტყვისათვის საჭირო სურნელოვანი თივა, მაგრამ ეს ზოგჯერ უგზოობის გამო შეუძლებელი ხდება. მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირველებმა გაიყვანეს საავტომობილო გზა კუდოს მთაში. გზები გაჭრა აგრეთვე სხვა მოებმეც, რომელმაც დიდი ეკონომიური შეღავათი მისცა მეცხოველეობას. მაღაროსკარელთა ინიციატივას რაიონის სხვა მეურნეობებმაც მიბაძეს, ახალ გზებს ჭრიან ანანურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობასა და მაღაროსკარის კოლმეურნეობაში. წელს საავტომობილო გზების გაყვანა დამთავრდება კანტაიში, გომეურა-ლაკისთავში, ჯახა-კორგაში, ხორხი-უძილაურებში.

□ რაიონულ ცენტრში პირველი კონცერტი გამართა ახალმა ანსამბლმა, რომელსაც მუსიკის ტრფიალი, ლუმეთის რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე ვ. კერესელიძე ხელმძღვანელობს. ანსამბლში გაერთიანებული არიან როგორც საავადმყოფოს, ისე სხვა საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები.

□ ლუმეთს ამშვენებს პირველი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. იგი სამიოდე წლის წინათ აშენდა, ამჟამად მეორე ხუთსართულიან საცხოვრებელ კორპუსს აგებენ, რომელიც წელს დამთავრდება. ახლახან ახალმოსახლეობა იზეიმეს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 43 მორიგი მექანიზებული კოლონის თანამშრომლებმა, მათთვის 24 ოჯახისათვის გათვალისწინებული ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა.

ა. თომაძე.

ისევ ენეგენ კოლმეურნეები

ზუგდიდი. (საკ. კორ. გ. ნოდია), სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშაობისა და მოსამსახურეების პროფკავშირის ზუგდიდის რაიკომის მიერ გაცემული საგზურებით წლევანდელი წლის 6 თვეში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო „კურორტებზე დაისვენა 229 კოლმეურნემ და მუშა-მოსამსახურემ. აქედან 32 საგზური უფასოდ მიეცათ სოციალისტური შრომის გმირებსა და ვეტერან კოლმეურნეებს.

წლის ბოლომდე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში დაისვენებს და იმკურნალებს რაიონის სამასამდე კოლმეურნე და მუშა-მოსამსახურე.

ჟურნალების ახალი ნომრები

□

„საქართველოს აგიტატორი" № 17

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" მორიგი მეჩვიდმეტე ნომერი.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 8

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი, მერვე ნომერი.

ჩიგორინის მემორიალი

სოჩში გრძელდება მიხეილ ჩიგორინის მემორიალი. გათამაშების ლიდერმა, საერთაშორისო ოსტატმა სვეშნიკოვმა მეექვსე და მეშვიდე ტურებში პარტიები ყაიმით დაამთავრა და ახლა 7 თამაშიდან 5 ქულა აქვს. სვეშნიკოვს დიდოსტატის ბალისათვის 8 დარჩენილი შეხვედრიდან 4 ქულის მოგროვებაღა სჭირდება.

ლიდერს კვალდაკვალ მიჰყვებიან დიდოსტატები პოლუგაევსკი, ცეშკოვსკი და ადორიანი (უნგრეთი).

ჭადრაკი

სახლები კონვეიერზე



იხარეს ჭერმა!

ლიტვის გზებზე გამოჩნდა ავტომატარებლები, რომლებსაც ძარაზე ალიტუსის ექსპერიმენტული სახლების სამშენებლო კომბინატის დამღა აქვს. სამი მძლავრი ტრაილერით დანიშნულების ადგილზე მიაქვთ მთელი სახლი. ავტომობილების ძარებზე შეფუთულია ოთხ-ხუთოთახიანი სახლის სრული მოწყობილობა. ადგილზე სპეციალური ბრიგადა სახლს ორ დღეში აწყობს. მთელ პროცესს, დაწყებული საძირკვლის გათხრით და დამთავრებული სახლისათვის ფარადი აგურის შემოვლებით, ერთი თვე სჭირდება.

ლიტვის სხვადასხვა რაიონებში სახლების ნაწილი უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა.

მეათე ხუთწლედის პირველ წელს სამშენებლო კომბინატი სოფელს დაახლოებით სამას სახლს გაუგზავნის, ხოლო დამამთავრებელ წელს ოთხი ათას სახლს.

□

სურათებზე: კომბინატის საფირმო მანქანების კოლონა გზაზე; პირველი სახლის მფლობელები — ჩესლავ, პრანას და რიტა იაგელევიჩიუსების ოჯახი.

ვ. კორეშკოვის ფოტო.

ტელევიზია

7 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმები „სარკე" და „აბა, დამაცადე!" I და II გამოშვება. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — საბავშვო სატელევიზიო შემეცნებითი ჟურნალი „მოზაიკა", 12.00 — მხატვრული ფილმი „ორშაბათიც გათენდება", 17.50— განცხადებები, 17.55 — მოსწავლეთათვის კონცერტი — ფერადი გამოსახულებით, 18.20 — თანამედროვე სეისმომედეგობის აქტუალური პრობლემები. ფერადი გამოსახულებით, 18.40 — „რუსთაველ მეფოლადეთა მხარდამხარ", 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი). შესვენების დროს — კინონარკვევი, 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — ნახატი ფილმი „ვულკანის დაბადება" ფერადი გამოსახულებით, 21.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) მეორე ტაიმი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — კონცერტი ქართველ ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. ფერადი გამოსახულებით, 23.20 — სპორტული მიმოხილვა.

მეორე პროგრამით

18.05 — კინონარკვევი, 18.15 — სტუდენტთათვის — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 19.00 — განცხადებები, 19.05 — „მწერალი და ცხოვრება" — ნ. კოლასონია.

ფეხბურთი

მეხუთე ტური

კვირას მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში დედაქალაქის „ტორპედოსა" და ლვოვის „კარპატს" შორის. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ტორპედოელებმა.

გუშინ მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე ასპარეზობდნენ ცსკა და დონეცკის „შახტიორი". მატჩი ანგარიშით 1:0 მოიგეს არმიელებმა.

დღეს გაიმართება საკავშირო გათამაშების კიდევ სამი შეხვედრა. დნეპროპეტროვსკში „დნეპრი" უმასპინძლებს მოსკოვის „სპარტაკს", მოსკოვის „დინამო" — კიეველ თანაკლუბელებს, ხოლო თბილისის „დინამო" — მოსკოვის „ლოკომოტივს".

□

დუგლიორთა მატჩი

გუშინ თბილისში „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა — 2:1 (0:0). ბურთები გაიტანეს დვალიშვილმა, ფერეთელმა და მოსკოველმა ბრუთინიანმა.

ფეხბურთი

ეროკლიდ

წყალბურთი. ჩელიაბინსკში ქვეყნის ჩემპიონატზე ჩასატარებელი დერრა მეორე წრის ორი უკანასკნელი შეხვედრა. ბოლო ტურში თბილისის „დინამომ" ფრედ — 5:5 ითამაშა კიეველ თანაკლუბელებთან და 12 ქულით მეხუთე-მეექვსე ადგილს იყოფს მოსკოვის დინამოელებთან.

ეროკეი. **მონრეალში, ტურნირში „კანადის თასზე" სსრ კავშირის ნაკრებმა ფრედ — 3:3 (0:2, 1:0, 2:1) დაამთავრა მატჩი შვეიცის გუნდთან.**

მძლეოსნობა. საფრანგეთის ქალაქ ტალანსში გამართულ შეჯიბრებაზე საბჭოთა ათეულმა, 25 წლის სტავროპოლელმა ალექსანდრე გრებენიუკმა ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 8.468 ქულა.

სოხუმში გაიმართა ტრადიციული შეჯიბრება სამმაგ ხტომაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის პრიზზე. გაიმარჯვა 22 წლის ტარტუელმა სტუდენტმა. ეაკ უუდმაეამ — 16 მეტრი და 54 სანტიმეტრი. პრიზი გამარჯვებულს გადასცა თვით ვიქტორ სანეევმა.

ნიკოლაევში გამართულ ახალგაზრდა მძლეოსანთა შეჯიბრებაზე გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე დიდ წარმატებას მიაღწია ქართველმა სპორტსმენმა-ნოიელ ლაბაძემ, რომელმაც ბიდროს ტყორცნაში რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა — 58 მეტრი და 60 სანტიმეტრი.

რედაქტორის მოადგილე
გ. გოგიაშვილი.

საქართველოს სსრ ხელოვნებისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელოვნების საკავშირო ჩეხოსლოვაკიის ელექტ. ... ...